

სკოლის გართვა

#2, 2022

Non-Formal Education in the EU

ქალთა თავისუფალი აღზრდის
„დანაშაული“ – ნოტიო ლოლვა

გვლილვა და
სასკოლო კულტურა

არაფორმალური
განათლება და სწავლა:
ჩარჩო, მეთოდოლოგია და
ფილოსოფია

LIVING-DEMOCRACY.COM –
გულბრუნველი ვებგვერდი
სკოლაში დემოკრატიული
კულტურის ხელშეწყობად

მხოლოდ

ფორმალური

საგანმანათლებლო

სისტემები ვერ

უპასუხებენ სწრაფ და

გულმოდგინე ტრანსფორმაციას,

სოციალურ და

ეკონომიკურ ცვლილებებს

საზოგადოებაში და რომ

ისინი უნდა გააძლიერდეს

არაფორმალური

საგანმანათლებლო

პრაქტიკის გეგმვით.




საქართველოს
განათლებისა და
მეცნიერების
სამინისტრო



მასწავლებლის
პროფესიული
განვითარების
ეროვნული
ცენტრი

ISSN 1512-0279



9 771512 027007 >

Living & Learning
DEMOCRACY
in schools and at home

Bosanski Елџиџа English ქართული Hrvatski Crnogorski Македонски Română Shqip Çirnoir Українська Français Русский Türkçe Magyar
(BS) (EL) (EN) (GE) (HR) (ME) (MK) (RO) (AL) (SR) (UK) (FR) (RU) (TR) (HU)



LIVING
DEMOCRACY

მთავარი შესახებ საგანმანათლებლო რესურსები მიმოხილვა სიახლეები კონტაქტი



Living & Learning
DEMOCRACY
in schools and at home

მასწავლებლები

სკოლის
დირექტორები

მშობლები

Bosanski Елџиџа English ქართული Hrvatski Crnogorski Македонски Română Shqip Çirnoir Українська Français Русский Türkçe Magyar
(BS) (EL) (EN) (GE) (HR) (ME) (MK) (RO) (AL) (SR) (UK) (FR) (RU) (TR) (HU)



LIVING
DEMOCRACY

მთავარი შესახებ საგანმანათლებლო რესურსები მიმოხილვა სიახლეები კონტაქტი

გეოგრაფიკული მდებარეობა

www.living-democracy.com/ge/

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების სწავლების ხელშეწყობა
მასწავლებლებისთვის, სკოლის დირექტორებისთვის, მშობლებისთვის

მასწავლებლები

სკოლის
დირექტორები

მშობლები



LIVING
DEMOCRACY

მთავარი შესახებ საგანმანათლებლო რესურსები მიმოხილვა სიახლეები კონტაქტი

Living & Learning
DEMOCRACY
in schools and at home

მასწავლებლები

სკოლის
დირექტორები

სკოლის გართვა

#2, 2022

გამომცემელი – მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრი

სარედაქციო კოლეგია

ბერიკა შუპაჩიძე

განათლების დოქტორი, მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების ეროვნული
ცენტრის დირექტორი

ლავითი ნაძალიძე

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე

გიია პრაპიშვილი

სოციოლოგიის დოქტორი, მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების ეროვნული
ცენტრის ანალიტიკური სამსახურის უფროსი

ნატალია ივანოვა

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი,
მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრის
საინფორმაციო-საგანმანათლებლო და
მეთოდური რესურსების პროგრამის მენეჯერი

დინის ზარუშია

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს
შიდა აუდიტის დეპარტამენტის შიდა აუდიტის
სამმართველოს უფროსი,
განათლების სამართლის მკვლევარი

პაპა ჩხარტიშვილი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრის იურიდიული სამსახურის
უფროსი

მთავარი რედაქტორი:

ნათია ნაცვლიშვილი

კორექტორი:

გიია წიკაშვილი

ფოტოგრაფი:

გელა გელანაშვილი

დისაინერი:

გისიკ დანელია

საკონტაქტო ინფორმაცია:

მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრი.

მისამართი:

თბილისი, სანდრო ელის ქ. 5,
ელფოსტა: skolismartva@tpdc.ge

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში
გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება,
შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების ეროვნული
ცენტრისა და ჟურნალის რედაქციის
შეხვედრებს. ცალკეულ სტატიებში
დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე
პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1512-0279

www.tpdc.ge



ნათია ნაცვლიშვილი



მთავარი რედაქტორის სვეტი

„დღემდე ჯერ მხოლოდ სამასი ისეთი ქალი მოუშადავია, რომელნიც მასწავლებლად არიან აქა თუ იქ, ან საკუთარი სახელოსნოები აქვთ გურია-სამეგრელოს სხვადასხვა სოფელში. მოწაფენი ჰყავს გურია-სამეგრელოდან და ქართლ-კახეთიდანაც კი...“ – ეს გახლავთ ამონარიდი იოსებ იმედაშვილის საუკუნის წინანდელი წერილიდან, რომლითაც მადლობას უხდის და წარმატებას უსურვებს ნოტიო ლოლუას სკოლასა და მის მასწავლებლებს, რომლებიც მუყაითად და მხნეობით ემსახურებოდნენ ქალების თვითმოქმედება-განვითარების საქმეს.

არც ამ ნომერში ვღალატობთ ჩვენს გადაწყვეტილებას, რომ დღეისთვის არსებული ყველაზე აქტუალური და ყველაზე პროგრესული იდეებისა და საჭიროებების პასუხად მაგალითები ჩვენივე წარსულიდან მოვიყვანოთ. დღეს ბევრს ვსაუბრობთ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების, ცოდნის ეკონომიკის, რეალურ ცხოვრებისეულ საჭიროებებზე ორიენტირებული სკოლის შესახებ. ნოტიო ლოლუას სკოლა კი, გასული საუკუნის და-საწყისში, სწორედ ამ პრინციპებს ემსახურებოდა და რეალური ცვლილებებიც შეჰქონდა საზოგადოების განვითარებაში.

ცვლილებები ვახსენეთ და – ამ ნომერში, ასევე, გაგაცნობთ იმ თეორიებს, რომლებიც დაგვებმარება სასკოლო კულტურის განვითარებაში.

არაფორმალური განათლება ჩვენი საგანმანათლებლო რეფორმის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. სწორედ ამიტომ გადაწყვიტეთ, გაგაცნოთ ის საერთაშორისო პოლიტიკური ჩარჩოები, რომელთა გათვალისწინებაც ევროინტეგრაციის გზაზე მდგარ ქვეყანას, განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, აუცილებლად სჭირდება. ასევე, გაგაცნობთ კვლევას, რომელიც კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს სკოლის გარეთ არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობებზე.

ამ ნომერში კათედრების საქმიანობასთან დაკავშირებული ძალიან წარმატებული პროექტის შეჯამებასა და პროექტის მონაწილე სკოლების პრაქტიკულ გამოცდილება-საც გაეცნობით. სკოლის ავტონომიისა და გარე კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული სტატია დაგებმარებათ, გადაავლოთ თვალი ამ მიმართულებით დაწესებულ საკანონმდებლო რეკომენდაციებს.

და ბოლოს – დემოკრატია ჩვენი არჩევანია, რომლის შენებაშიც სკოლას უდიდესი წვლილი მიუძღვის, სადაც ყველას თავისი როლი აქვს – მასწავლებელს, დირექტორს, მშობელს. იმედი გვაქვს, მულტილინგვური ვებგვერდი www.living-democracy.com და სპეციალურად ქართულენოვანი მკითხველისთვის მოცემული მასალა ღირებულ დახმარებას გაგვწევს ჩვენი სკოლის დემოკრატიულად მართვაში, შესაბამისად, საზოგადოების დემოკრატიულ განვითარებაში.

3

პორტრეტი

ლელა განთხავილი

ქალთა თავისუფალი აღზრდის „დანაშაული“ – ნოტიო ლელუა

7

იოსებ იმედაშვილი

გადლიანი ადამიანი – ნ.გ. ლელუას ასული

9

მთავარი თემა

გერია უშუალოდ

ცვლილება და სასკოლო კულტურა

17

კვლევა

სიმონ ჯანაშია

როგორ ვიყენებთ სკოლის გარეთ არსებულ რესურსებს?

23

მთავარი თემა

პელეგოგია

არაფორმალური განათლება და სწავლა: ჩარჩო, მეთოდოლოგია და ფილოსოფია

33

ევროპის სავაჭრო საკარლანდის ასამბლეა – რეკომენდაცია 1437 (2000)
არაფორმალური განათლება

37

მასაღობლობების სკოლა

ბიკ შერულია

სკოლის გარეთის განათლების განვითარება

42

სასკოლო პროექტები

მუხის დანერგვა

შუალედური სკოლის განვითარებისა და სავაჭრო ლიდერების როლი მოსწავლეთა აკადემიური შედეგების
განვითარების პროცესსა და სკოლის დემოკრატიულ გარემოში

45

ლელი ხაჩიკი

სკოლის გარეთის საშუალო სკოლის გაძლიერება სავაჭრო სფეროში – ჩვენი სკოლის გამოცდილება

48

სკოლა და კანონმდებლობა

დენის ჟურნალი

სავაჭრო სკოლის ავტორიტეტი და გარე კონსტრუქციის შექმნის გზები

53

დირექტორის ბიბლიოთეკა

ნათია ნაცვლიშვილი

LIVING-DEMOCRACY.COM – მულტილინგვური ვებგვერდი სკოლებში დემოკრატიული კულტურის ხელშეწყობად

ქალთა თავისუფალი აღზრდის „დანაშაული“ – ნოტიო ლოლუა



დანაშაული თუ პროგრესული განათლების პრინციპი? – ნოტიო ლოლუა ერთ-ერთი იყო მე-19 საუკუნის განმანათლებელთა შორის, რომელსაც ბრალს სწორედ პროგრესულობასა და ქალთა თავისუფალი აღზრდის ინიციატორობაში სდებდნენ.

უმამოდ გაზრდილი ნოტიო ლოლუა ჯერ ფოთის, შემდეგ კი ბათუმის სასწავლებელში მიაბარეს, სადაც განათლების მიღებასთან ერთად, ხელსაქმის შესწავლის შესაძლებლობაც მიეცა. სასწავლებლის დასრულების შემდეგ მან საკუთარი სამკერვალო გახსნა, სადაც 10-მდე ქალი შემოიკრიბა და შექმნა ერთგვარი მეგობრული გაერთიანება. მას კარგად ესმოდა ქალთა გაძლიერებისთვის მათი ინტეგრაციის მნიშვნელობა და ამის დიდი მხარდამჭერი და ინიციატორიც გახლდათ.

სწორედ ამგვარი შეხედულებების გამო, თამამად შეგვიძლია განვიხილოთ იგი „ფემინისტურ გმირადაც“, ვინაიდან ხშირად უწევდა თავის დაცვა მაშინდელი იმპერიალისტური განწყობის ჩინოვნიკებისგან, რომლებიც ღიად უპირისპირდებოდნენ ქალთა გაძლიერებას და საკმაოდ წარმატებითაც უმკლავდებოდა ყოველ წნეხს. თუმცა, მის საქმიანობაში, პირველ რიგში, ყურადსაღები ფაქტი მაინც ისარის, თუ როგორ გადააქცია ერთი ჩვეულებრივი სამკერვალო დახვეწილ, ორგანიზებულ და

იმ დროისთვის მეტად პროგრესულ სასწავლებლად და ამ სტატიასაც სწორედ ამ მიმართულებით გავაგრძელებთ.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ სამკერვალომ მცირე დროში უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა არა მხოლოდ იმ ქალებისთვის, რომლებიც ჩართო მის ფუნქციონირებაში, არამედ მთელი ფოთისთვის, ვინაიდან აქ შექმნილი პროდუქტი საკმაოდ მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა. თუმცა ნოტიოსთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, მას სურდა, რომ სხვა ქალებსაც მისცემოდათ შესაძლებლობა, ჰქონოდათ საკუთარი პროფესია, საქმე და ყოფილიყვნენ ეკონომიკურად ძლიერები. ამ სურვილით შეპყრობილმა, მეგობრებისა და სახალხო მოღვაწეების – ნიკო ნიკოლაძის, იონა მეუნარგიას მხარდაჭერით, სახელოსნო გადააკეთა ჯერ ექვსთვიან კერძო პროფესიულ კურსებად (1897 წ.), რომელსაც „ნოტიო ლოლუას პროფესიული კერძო სასწავლებელი“ დაარქვა, მოგვიანებით კი უკვე სამწლიან სკოლა-პანსიონად (1903), რამაც კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა და ავტორიტეტი შესძინა მას და ფართოდ გახსნა ქალთა განათლებისთვის კარი. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში მისი თანამედროვე სახალხო მოღვაწეები და განმანათლებლები ქუთაისიდან და თბილისიდან, მათ შორის, ეკატერინე გაბაშვილი²,

...მე პი გგონია,
აღაშიანავი გოგონა და
შუკიანანი რომ არ იყვნენ,
შეიძლებოდა ოჯახის
მოვლაც და საზოგადო
საქმეს შეეერთებინა
დედაპაპს; ამ გზოვლად
საჭირო იქნებოდა
სოციალური დათმობა,
პატივისცემა...



» რა ეშველებოდა
სულიერად დაჰიავევულ,
რწმუნაგამქრალ
აღამიანს, რომ
სისოცხლის განახლების
ნიშნად აგერ-იგერ
ია-პარდი არ ამოჰყოფდეს
თავს და ნივთიერად
გახრიოკებულ ქვეყანას
თვითთავმოქმედი
აღამიანნი არ
გამოუჩნდებოდნენ
ხოლმე.

უკვე იბრძოდნენ ქალთა განათლებისთვის და მათი უფლებების წინ წამოსაწევად.

„...მე კი მგონია, ადამიანები ბოროტნი და შურიანი რომ არ იყვნენ, შეიძლებოდა ოჯახის მოვლაც და საზოგადო საქმეც შეეერთებინა დედაკაცს; აქ მხოლოდ საჭირო იქნებოდა ცოტაოდენი დათმობა, პატივისცემა...“ — ასე ეხმიანება აღმოსავლეთ საქართველოში მოღვაწე ეკატერინე გაბაშვილი ქალთა განათლებისთვის ბრძოლას (1912, ჟურნალი „გრდემლი“).

ნოტიოს სასწავლებელს გამოარჩევდა მისი თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა სოციალური ფენისთვის. მისი თანამედროვე მოღვაწე, ჟურნალის დამფუძნებელი და რედაქტორი, იოსებ იმედაშვილი (არიმათიელი) 1920 წელს გაზეთში „თეატრი და ცხოვრება“ აქვეყნებს მოგონებას ნოტიო ლოლუას შესახებ, სადაც აღწერს მის თავ-დაუზოგავ და უანგარო მოღვაწეობას: „რა ეშველებოდა სულიერად დაჩივებულ, რწმუნაგამქრალ აღამიანს, რომ სიცოცხლის განახლების ნიშნად აგერ-იგერ იავარდიარ ამოჰყოფდეს თავს და ნივთიერად გახრიოკებულ ქვეყანას თვითშემოქმედი აღამიანნი არ გამოუჩნდებოდნენ ხოლმე“³.

ლოლუას სასწავლებელში ღარიბებისთვის უფასოდ მოინახა ადგილი სასწავლებლად. ქალთა ხელსაქმის გარდა, სხვა საგნებიც ისწავლებოდა: ლიტერატურა, არითმეტიკა, საღვთო ისტორია, ხაზვა, ასევე, გამოჩენილ მხატვართა და მოქანდაკეთა ნაწარმოებების ოქრომკერდით ამოქარგვა და, რაც მთავარია, ყველა საგანი ისწავლებოდა ქართულ, მშობლიურ ენაზე. თეორიულ სწავლებასთან ერთად, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა პრაქტიკას.

„ანგარიშის გაკვეთილი იშვიათად შემხვედრია ასე ხალისიანი ყურადღებით მოცული. ბუნებისმეტყველების გაკვეთილი იყო ერთსა და იმავე დროს ახსნა საგნის, სიტყვათა სხვადასხვა ენით გადაცემა და მათთან დაკავშირებულ შესანიშნავ ადამიანთა ვინაობა-ნაღვაწის გაკვრით განმარტება“. ნოტიო ლოლუას სკოლაში კულტურულ საქმიანობასაც უდიდესი ადგილი ეთმობოდა, მათ შორის, საქველმოქმედო საღამოებს, რომლის შემოსავალიც ისევ სასწავლებლის გაუმჯობესებას ხმარდებოდა; ასევე, ექსკურსიებს, ლაშქრობებს და სხვადასხვა შემეცნებით აქტივობას (იმედაშვილი, 1920).

თუმცა ქართულ ენაზე სწავლება, მაშინდელ რეაქციულ პოლიტიკურ და სოციალურ ფონზე დესტაბილიზაციას იწვევდა, ვინაიდან, იმ დროის საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. შესაბამისად, ნოტიოს ხშირად უწევდა ცარისტული ჩინოვნიკური წნეხის გაძღება; ისინი ბრალს სეპარატიზმში სდებდნენ და არწმუნებდნენ, რომ სახელმწიფოსთვის უნდა გადაეცა სასწავლებელი. მაგრამ ყველა ეტაპზე წარმატებით არიდებდა თავს მათ ბრალდებებს და განაგრძობდა ქალთა განათლებას მათი გაძლიერებისთვის და დამოკიდებულებების შესაცვლელად. შედეგი ცხადზე ცხადი იყო, ვინაიდან მისი კურსდამთავრებულები, რომელთა რა-



ოდენობამაც მალევე 500-ს გადააჭარბა, სწავლის დასრულების შემდეგ საკუთარ სახელოსნოებს ხსნიდნენ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში აგრძელებდნენ მუშაობას. ისინი სულ უფრო და უფრო დამოუკიდებლები და საზოგადოების აქტიური წევრები ხდებოდნენ.

რეაქციონერი ჩინოვნიკები მის წინააღმდეგ მას შემდეგ კიდევ უფრო გააქტიურდნენ, რაც კურსები სამწლიან სკოლად გადაკეთდა, ვინაიდან ძმასთან, ძუკუ ლოლუასთან ერთად კიდევ უფრო მეტი ენთუზიაზმით დაიწყო ახალგაზრდა ქალების განათლების პროცესი ისეთ მასწავლებლებთან ერთად, როგორებიც იყვნენ მაშინდელი მოღვაწეები – გეგეჭკორი, ხუხუბია, გაგუა, რომლებიც სრულიად უსასყიდლოდ მუშაობდნენ მასთან. თუმცა, ძმისა და ერთ-სულოვანი გუნდის მხარდაჭერით, ამ წინესაც გაუძლო მისმა სასწავლებელმა და მეტიც, ნიკო ნიკოლაძის⁴ უდიდესი მხარდაჭერით, ფოთის საქალაქო თვითმმართველობისგან ყოველთვიური სუბსიდია მიიღო, რაც იმ პერიოდისთვის უდიდესი გამარჯვების ტოლფასი იყო.

ნოტიო ლოლუას პროფესიულმა კერძო სასწავლებელმა 24 წელი იარსება და ასობით ქალს მისცა განათლების შესაძლებლობა. 1921 წლიდან კი სასწავლებელი, ბოლშევიკების გადაწყვეტილებით, საქალაქო-საფაბრიკო სკოლად გადაკეთდა.

აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ ნოტიო ლოლუას არ ჰქონდა განსაკუთრებული განათლება მიღებული არც სამშობლოში და არც საზღვარგარეთ და მან თვითგანვითარებითა და თვითგანათლებით მიაღწია წარმატების იმ საფეხურს, საიდანაც მისი თანამედროვე ქალებისთვის უდიდეს მაგალითად და მოტივაციად იქცა. „ნოტიო ლოლუა სწავლობდა თბილისის ხელსაქმის დაბალ სკოლაში და შემდეგ თავისით განვითარებულა, ამაღლებულა და მადლსა თავისსა უხვად ჰფენს მშობელ



ერში“ – წერდა გაზეთი „თეატრი და ცხოვრება“ 1920 წლის ნომერში.

საბჭოთა ტრაგიკული რეალობის შედეგია ის ფაქტი, რომ განმანათლებლის, რომელსაც დღეს მკვლევართა ნაწილი „ფემინისტურ გმირად“⁵ მოიხსენიებს, შესახებ ცნობების შეგროვება დაიწყო მხოლოდ 2015 წლიდან, პროექტის – „ინიციატივა ცვლილებებისთვის“ ფარგლებში. დღემდე უცნობია, ჰქონდა თუ არა ნოტიოს საგანმანათლებლო ჩანაწერები, თუმცა, მის ფასდაუდებელ საგანმანათლებლო საქმიანობას ქალთა უფლებების მიმართულებით ცალსახადა დასტურებს მისი მოღვაწეობის პრაქტიკები და ასობით განათლებამიღებული ქალი, რომელმაც უკვე დამოუკიდებლად განაგრძო საგანმანათლებლო საქმიანობა საქართველოს სხვადასხვა სოფელსა თუ ქალაქში.

დიდნოტიო ლოლუას წვლილი ცარიზმის მარწუხებში მოქცეული ქართული საზოგადოების განვითარებისთვის ბრძოლაში, განსაკუთრებით დიდია მისი წვლილი ქალთა გააქტიურების, მათი განათლების, საზოგადოების სრულფასოვან წევრებად

„ანგარიშის გაკვეთილი
იოვანთა შიშველი
ასე ხალისიანი
ყურადღებით მოხული.
გუნების მიტყუპების
გაკვეთილი იყო ერთსა და
იმავე ღრუს ახსნა საგნის,
სიტყვათა სხვადასხვა
ენით გადაცემა და
მათთან დაკავშირებულ
შესანიშნავ აღაპიანთა
ვინაობა-ნაღვანის
გაკვირით განგარტება“.



შენიშვნები:

- ¹ ინიციატივა ცვლილებისათვის: თემის თვითორგანიზებისა და თანამშრომლობის გამოცდილება საქართველოში საბჭოთა ოკუპაციამდე. წ. 2. თბილისი, 2016. გვ. 41-48.
- ² ეკატერინე გაბაშვილი, რჩეული ნაწერები 2 ტომად, თბილისი, 1953
- ³ „თეატრი და ცხოვრება“, #11, 1920 წ.
- ⁴ „კვალი“, # 5, 1897 წ.
- ⁵ 2. ინიციატივა ცვლილებისათვის: თემის თვითორგანიზებისა და თანამშრომლობის გამოცდილება საქართველოში საბჭოთა ოკუპაციამდე. წ. 2. თბილისი, 2016. გვ. 41-48.



» მისი პურსდამთავრებულები, რომელთა რაოდენობაა 500-ს გადაჭარბა, სწავლის დასრულების შემდეგ საკუთარ სახელობეებს ხსნიდნენ და საგანგანათლებლო დაწესებულებებში აგრძელებდნენ მუშაობას. ისინი სულ უფრო და უფრო დამოუკიდებლები და საზოგადოების აქტიური წევრები ხდებოდნენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ¹ სალომე ჭანტურიძე (2021) „ქალები გასული საუკუნიდან 1918-1921.“ ნოტიო ლოლუა, 32.
- ² ინიციატივა ცვლილებისათვის : თემის თვითორგანიზებისა და თანამშრომლობის გამოცდილება საქართველოში საბჭოთა ოკუპაციამდე. წ. 2. თბილისი, 2016. გვ. 41-48.
- ³ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმი // კრებული მესამე. – თბილისი, „განათლება“, 1968
- ⁴ „თეატრი და ცხოვრება“, # 11, 1920 წ.
- ⁵ „კვალი“, # 5, 1897 წ.

ქცევის მიმართულებით. სკოლამ, სადაც ოქრომკედის ქსოვილებთან და ქარგვის ნიმუშებთან ერთად, ქართველი ქალის თავისუფალი ნება იქმნებოდა, მხოლოდ საქართველოს ოკუპაციამდე იარსება, თუმცა, რაღა თქმა უნდა, უდიდესი წვლილი შეიტანა ქართველი ქალის აზრის ფორმირების პროცესში. ნოტიო ლოლუა ჯერ კიდევ ორი საუკუნის წინ ასწავლიდა ქალებს ეკონომიკურად დამოუკიდებლად ცხოვრებას, მაშინ, როცა ეს საკითხი 21-ე საუკუნეშიც ბევრი ქალისთვის შორ პერსპექტივად მოჩანს.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფოთის განყოფილების წევრის, ქალთა გაძლი-

ერებისთვის თავდაუზოგავად მოღვაწე ნოტიო ლოლუას სახელი, „ქალთა ფონდის“ დახმარებით, ნატო ლოლუას სახელობის სტიპენდიით, დღესაც ეხმარება მომავალ თაობას უკეთესი მომავლის შექმნაში, პრინციპი იგივეა – განათლების გზით...

მუაფაჟა ლულა მასოხაშვილი

გადლიანი ადამიანი

ნ. გ. ლოლუას ასული



იოსებ ივანეშვილი

რა ეშველებოდა სულიერად დაჩი-
ავებულ, რწმენაგამქრალ ადამიანს, რომ
სიცოცხლის განახლების ნიშნად აგერ-
იგერ ია-ვარდი არ ამოჰყოფდეს თავს და
ნივთიერად გახრიოკებულ ქვეყანას თვით-
შემოქმედი ადამიანი არ გამოუჩნდებო-
დენ ხოლმე! ასეთ ადამიანებს არ უყვართ
ყვირილი, შარაზე გამოსვლა და მოკრძა-
ლენი არიან ისევე, ვითარცა ბუჩქის ძირას
აღმოცენებული ია, ისევე მორიდებული,
დამალული, როგორც დედამიწის გულის
სიმდიდრე, და ამიტომაც ჩვეულებრივი
თვალი მათ ვერ ამჩნევს. ესენი უნდა სძებ-
ნოთ... არიან კი ასეთი ადამიანები, ჩვენი
ქვეყანა არც ისეა გამოფიტული გრძნობა-
გონებით, როგორც ზოგიერთს მიუჩნევია...
ერთი ასეთთაგანია სამეგრელოს ასული
ნოტიო ლოლუა, რომლის პირადი შრომა-
ღვაწლით დღეს ფოთში ქალთა მშვენიერი
პირველი კერძო პროფესიონალური სკო-
ლაა საქალებო პროგიმნაზიული კურსით
(ჯერ სამი კლასია, მალე მეოთხეც მიემატე-
ბა). ლოლუას ასული ყველაზე მეტად იმი-
თია შესანიშნავი, რომ თანამედროვე მა-
ღალ სასწავლებელში სწავლა არ მიუღია,
– უსწავლია მხოლოდ ხელსაქმის დაბალ
სკოლაში და შემდეგ თავისით განვითარე-
ბულა, ამაღლებულა და მადლსა თავისსა
უხვად ჰფენს მშობელ ერში. თითქმის ოცი
წელიწადია, რაც ლოლუას ასულმა გააღო

პირველი სახელოსნო სკოლა. პირველად
ეს სკოლა სამი განყოფილებისგან შესდ-
გებოდა და უმთავრესად ლარიბ-ლატაკთა
შვილებს ასწავლიდა. თვით ქ-ნი ლოლუა
ობლობა-სიღარიბეში იზრდებოდა და იცო-
და, ვის უფრო უნდა მიხმარებოდა. მისი
ზნეობრივი წამქეზებელი იყო ნიკო ნიკო-
ლაძე, ლეონიდ ეპისკოპოსი და სხვა. მაგ-
რამნივთიერი დახმარება მაინც ძლიერ ნაკ-
ლები ჰქონდა. შვიდიოდე წლის წინად შე-
იძინა საქსოვ-საფეიქრო მანქანები, – ისიც
მოლოზნისაგან [მონაზვნისგან] მიბარე-
ბულ თხუთმეტი თუმანით და ასე ნელინელ
გაიზარდა სკოლა. ამჟამად სკოლა მოთავ-
სებულია მისს და მისი ძმის ძუკუ ლოლუას
საკუთარ სახლში, შეიცავს სამს კლასს სა-
ხელოსნო განყოფილებით. მოწაფე ჰყავს
ასამდე, მასწავლებელი თორმეტამდე.
თვი-ური ხარჯი თითქმის 11000 მანეთი უწევს.
მასწავლებელნი იღებენ ძლიერ მცირე ჯა-
მაგირს. კლასები გაყინულია უშეშობით. აქ
შეუმჩნევლად შევესწარ და მოვისმინე გაკ-
ვეთილები. გაკვეთილი დაიწყო გალობით,
რამაც უზომო სასოება მომდინა, ანგარიშის
გაკვეთილი იშვიათად შემხვედრია ასეთი
ხალისიანი ყურადღებით მოცული. ბუნების
მეტყველების გაკვეთილი ერთსა და იმავე
დროს იყო ახსნა საგნის, სიტყვათა სხვა-
დასხვა ენით გადაცემა და მათთან დაკავ-
შირებულ შესანიშნავ ადამიანთა ვინაობა-

პირველად ეს სკოლა
სამი განყოფილებისგან
შესდგებოდა და
უმთავრესად ლარიბ-
ლატაკთა შვილებს
ასწავლიდა. თვით
ქ-ნი ლოლუა მოლოზა-
სიღარიბეში იზრდებოდა
და იცოდა, ვის უფრო
უნდა მიხმარებოდა. მისი
ზნეობრივი წამქეზებელი
იყო ნიკო ნიკოლაძე,
ლეონიდ ეპისკოპოსი და
სხვა. მაგრამ ნივთიერი
დახმარება მაინც ძლიერ
ნაკლები ჰქონდა.



» **ლოლუას სკოლას
დღემდე ჯერ გხოლოდ
სამასი ისეთი ქალი
მოუგზალებია, რომელნიც
მასწავლებლად არიან
აქა თუ იქ, ან საკუთარი
სახელოვნოები აქვთ
გური-სამეგრელოს
სხვადასხვა სოფელში.
მოწაფენი ჰყავს გური-
სამეგრელოდან და
ქართლ-კახეთიდანაც კი.
და ასეთ სკოლას კლიერ
მცირე უმომსავალი აქვს.**

ნაღვაწის გაკვრით განმარტება; გვირგვინი ყველა ამისა თვითნოტიო ლოლუას ხელით ნაქარგ-ნამუშევარი: სკოლის შესავალ დარბაზში კედელზე ფრიალებს ეროვნული დროშა თეთრი გიორგის ღერბით, ამოქარგული, მეორე დარბაზს ამშვენებს შოთას, თამარის, ვეფხისტყაოსნის მირთმევის, ხარების დასხვ. მრავალსურათო ნაქარგი, საუცხოო და იშვიათი ხელოვნებით. მათი ოსტატი ხელოსანი კი არა, ნამდვილი ხელოვანი ყოფილა და ესაა ნოტიო ლოლუას ასული. ნაქსოვი საქონელი – შალეული, ტილოები, ჩულქები და სხვა გამოფენაზე და ბაზარში იყიდება. ლოლუას სკოლას დღემდე ჯერ მხოლოდ სამასი ისეთი ქალი მოუზადებია, რომელნიც მასწავლებლად არიან აქა თუ იქ, ან საკუთარი სახელოსნოები აქვთ გურია-სამეგრელოს სხვადასხვა სოფელში. მოწაფენი ჰყავს გურია-სამეგრელოდან და ქართლ-კახეთიდანაც კი. და ასეთ სკოლას

ძლიერ მცირე შემოსავალი აქვს. სკოლას იანვრიდან ერობამალუთქვა თვიურად 4000 მანეთი, ქალაქმა 100 მანეთი. ეს არის და ეს, დანარჩენს ხარჯს სკოლის გამგე საკუთარის შრომით ფარავს. აუცილებელი და დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ამ სკოლის საქმიანობას ყველა იმათგან, ვისაც ჭეშმარიტად სწამს ჩვენის ერის სულიერ-ნივთიერი აღორძინება. დაე, გაუმრავლდეს ჩვენს ქვეყანას ისეთი მადლმოსილი ადამიანები, როგორიც ქ-ნი ნოტიო ლოლუას ასულია! ჩვენის მხრით ამ მუშაკთ, – ქ-ნ ლოლუას და მის თანაშემწე მასწავლებელთ, რომელნიც აგეთის მუყაითობით და მხნეობით ემსახურებან ჩვენს ქალების თვითმოქმედება გავითარების საქმეს, ვუსურვებთ წარმატებასა და გამარჯვებას“.

იოსებ არიგათილის წერილი
ჟურნალი „თავისუფალი და სხვა“
1920, #11.



ცვლილება და სასკოლო კულტურა



გიორგი შვაჩიძე

განათლების დოქტორი, გენერალ-მაიორი
პროფესორი განვითარების ეროვნული
ცენტრის დირექტორი

თუ რომელიმე ტიპის ორგანიზაციას ახასიათებს ცვალებადი ბუნება, მათ შორის ერთ-ერთი აუცილებლად არის სკოლა. აქ ყოველდღიურად, ყოველ გაკვეთილზე, მასწავლებლის წამახალისებელი ან დემოტივაციის გამომწვევი კომენტარით, თანატოლებთან სოციალური ურთიერთობით, უფლება-მოვალეობების გაცნობიერებითა და დაცვით მუდმივად იცვლება მოსწავლე. მოსწავლის/მომარდის სწრაფ ცვლილებას ინდივიდუალური მიდგომით, სწავლების თანამედროვე მეთოდებით, სწავლა-ძიებითა და სხვა მრავალფეროვანი ხერხებით სჭირდება გამკლავება. ეს ყოველივე კი მასწავლებლების მხრიდან ცოდნის მუდმივი განახლებისა და საუკეთესო გამოცდილებების გაზიარების გზით ცვლილებებს საჭიროებს, ხოლო სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან – მართვის თანამედროვე, თანამშრომლობაზე ორიენტირებული მიდგომის გამოყენებას მოითხოვს.

როჯერსი (2003) ცვლილების რთულ ბუნებას შემდეგნაირად აღწერს: ადამიანების გარკვეული ნაწილი თამბაქოს მოხმარების მაგნიჩვევას ვერ ცვლის, მიუხედავად იმისა, რომ იცის მისი მავნებლობის შესახებ. სტატუს-კვოსთან შეგუების მაღალი მაჩვენებ-

ლის გამო, რთულია ადამიანებში ცვლილებების დანერგვა. კაცობრიობის ისტორიაში, უძველესი ეპოქიდან მოყოლებული, მრავლად ვხვდებით ისტორიებს, თუ რა ძნელია თუნდაც ურთულესი მოცემულობის დათმობა და უკეთესი მომავლისათვის ბრძოლა. როჯერსს (2003) რამდენიმე მაგალითი მოჰყავს იმის საილუსტრაციოდ, თუ რაოდენ რთულია ეფექტური ცვლილებების განხორციელება ეროვნულ დონეზე. მაგალითად, ბრიტანეთის მთავრობას ორი საუკუნე დასჭირდა, შეეცვალა საზღვაო გემებზე გავრცელებული კვების რეჟიმი, რომელიც მემზავურებში სურავანდის დაავადებას იწვევდა (ცვლილება კვების რაციონში ლიმონისა და მისი პროდუქტების დამატებას ეხებოდა).

10 წარმოდგენა ცვლილების შესახებ

სანამ უშუალოდ ცვლილების არსისა და მისი დანერგვის/განხორციელების თანმხლები პროცესების შესახებ ვისაუბრებდეთ, საინტერესო იქნება, გავეცნოთ ფულანის (ციტირებულია ევანსთან, 2009) მიერ წარმოდგენილი ცვლილების შესახებ 10 ყველაზე გავრცელებულ წარმოდგენას / დაშვებას. როგორც გლიკმანი (1998) აღნიშნავს,

» გაიკლ ფულანის ჯვრით, სკოლა გუდმივი ცვლილების ადგილია.

განათლების სექტორში განხორციელებული ცვლილებების მონაწილე ინდივიდები სრულად იზიარებენ ფულანის მოსაზრებას.

წარმოგიდგენთ ამ წარმოდგენებს/დაშვებებს:

1. ნუ დაუშვებთ, რომ თქვენ მიერ ჩამოყალიბებული ცვლილება ერთადერთია. პირიქით, დაუშვით, რომ ცვლილების განხორციელებისათვის საჭიროა თქვენი იდეების აქტიური მიწოდება ცვლილების პროცესის მონაწილეებისათვის. სწორედ ასეთი ტიპის კომუნიკაციის პირობებში უნდა შემუშავდეს ცვლილების საბოლოო მონახაზი, დანერგვის სტრატეგია და კონკრეტული ღონისძიებები. პირველადი იდეები დანერგვამდე მრავალჯერ მოდიფიცირდება და დაიჯერეთ, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ სასიკეთოდ წაადგება ახალი ინიციატივის ეფექტურად განხორციელებას;
2. მნიშვნელოვანი ინოვაცია, რომელიც ცვლილების შედეგია, ეფექტიანი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი განხორციელებები საკუთარ შეხედულებებს ასახავენ მასში. ცვლილების წარმატებით დანერგვა რაც შეიძლება მეტ გარკვეულობასა და სიცხადეს მოითხოვს;
3. შეხედულებების კონფლიქტი და აზრთა სხვადასხვაობა არა მარტო გარდაუვალი, არამედ აუცილებელიც არის ცვლილების წარმატებით დანერგვისათვის;
4. ცვლილების განხორციელებისათვის ადამიანებზე გარკვეული გავლენის მოხდენაა საჭირო (მიუხედავად მათი თქვენს იდეებში დარწმუნების მაღალი ხარისხისა). გავლენა ეფექტიანია მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როცა მის განხორციელებებს საშუალებას მივცემთ, გამოთქვან საკუთარი აზრი, გაუზიარონ მოსაზრებები სხვა მონაწილეებს და მზადვართ, აღმოვეჩინოთ ტექნიკური ტიპის დახმარება;

5. გაითვალისწინეთ, რომ ეფექტიანი ცვლილება გარკვეულ დროს მოითხოვს და მოკლე დროში შედეგი არ დგება. მნიშვნელოვან ცვლილებას სკოლაში, საშუალოდ, ორი-სამი წელი სჭირდება. ინსტიტუციური ტიპის ცვლილებებისათვის კი ხუთი და მეტი წელია საჭირო. მიუხედავად ამისა, რომ თანმიმდევრულობა, ძალების მობილიზება და ორგანიზება აუცილებელი პირობებია ცვლილების ეფექტურად დანერგვისათვის;
6. ნუ იფიქრებთ, რომ თქვენ მიერ წარდგენილი ცვლილების მიმართ გამოხატული რეზისტენტულობის მიზეზი თქვენი იდეებია. ადამიანებს ყველა ცვლილების მიმართ ბუნებრივად უჩნდებათ წინააღმდეგობის სურვილი. რობინსის (2009) ფორმულირებით: ადამიანებს მოჭარბებულად აქვთ „კონსერვატორული იმპულსი“;
7. ნუ გექნებათ მოლოდინი, რომ ყველა აღფრთოვანდება თქვენი იდეებით, განსაკუთრებით მაშინ, როცა ცვლილება დიდ, სოციალურ სისტემაში ხორციელდება. უმჯობესია, ცვლილება ნაბიჯ-ნაბიჯ განხორციელდეს, ეს საშუალებას მოგცემთ, უფრო მეტი მომხრე გადმოიბიროთ;
8. გაითვალისწინეთ, რომ ცვლილების განხორციელებლად აუცილებლად გჭირდებათ კარგად გააზრებული გეგმა, რომელიც ყველა ზემოთ მოცემულ რჩევას ითვალისწინებს;
9. გაითვალისწინეთ, რომ ვერანაირი თეორიული ცოდნა ვერ უზრუნველყოფს ცვლილების წარმატებას. ყველაფერი შექმნილი სიტუაციისა და დამახასია-

ათეხელი ნარატივების გააზრებაზეა დამოკიდებული;

10. გაითვალისწინეთ, რომ ყველა ცვლილებაზე რთული ორგანიზაციის კულტურის ცვლილებაა.

ცვლილების არსი

როგორც ევანსი (2009) ამტკიცებს, ცვლილების ტრადიციული, ამავე დროს, გავრცელებული მიდგომა სათავეს მეცნიერული მენეჯმენტის ცნებიდან, მეოცე საუკუნის დასაწყისში, კერძოდ კი 1911 წლიდან იღებს. მას საფუძველი ცნობილმა მეცნიერმა ფრედერიკ ვინსლოუ ტეილორმა ჩაუყარა. ამ ცვლილების დედააბრი შემდეგში მდგომარეობდა: შრომის რაციონალიზაცია (მეცნიერების, სპეციალიზაციისა და ბიუროკრატიის გზით) და ეფექტიანობით საწარმოს ეფექტურობის გაუმჯობესება. ამ ცვლილებაზე ე.წ. რაციონალურ-სტრუქტურული პარადიგმის ჩამოყალიბებას დაუდო საფუძველი. ეს ვარაუდი გარემოს სტაბილურსა და პროგნოზირებადს ხდის, დაგეგმვის პროცესი უფრო ობიექტური და სწორი-ზოვანია, ცვლილება კი თითქმის სისტემის იერარქიის ზემოდან ხორციელდება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რობინსი (2009), ნიშნებზე დაყრდნობით, წერს, რომ ადამიანში ღრმად არის გამჯდარი ე.წ. კონსერვატორული იმპულსი, რომელიც რეზისტენტულობას იწვევს ახალი წესრიგის მიმართ. კვლევები აჩვენებს, რომ ცვლილების მიმართ ადამიანების ნეგატიურ დამოკიდებულებას შემდეგი ფაქტორები განაპირობებს:

■ იწვევს დანაკარგს:

ორგანიზაციაში ცვლილების განხორციელებით შემოღებული ახალი წესრიგი ხშირად თანამშრომელთა რაოდენობის შემცირებაში გამოიხატება. ეს გან-

საკუთრებით მწვავედ იგრძნობა, როცა საზოგადოებრივი ფორმაცია იცვლება. საბჭოთა კავშირის დანგრევამ ძირეული ცვლილებების საჭიროება დააყენა დღის წესრიგში. ზოგადი განათლების სექტორში თითქმის ყველა მიმართულება გადაფასდა. სკოლების მართვაში საერთოდ გაქრა ბევრი ისეთი სამსახური, რომელსაც მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა დაკისრებული უმაღლესი მენეჯმენტის მიერ (მაგალითად: პიონერთა ხელმძღვანელი, მეთოდისტი, განათლების განყოფილების გამგე და სხვ.).

■ გამოწვევის წინაშე აყენებს კომპეტენციებს:

გასული საუკუნის 90-იან წლებში მომხდარმა პოლიტიკურმა ცვლილებებმა, მართვის დემოკრატიულ სისტემაზე გადასვლამ, კონკრეტული სამსახურების გაუქმების პარალელურად, გამოწვევის წინაშე დააყენა მთელი საგანმანათლებლო საზოგადოება. 90-იან წლებამდის ტორიული ნარატივი საკმაოდ მარტივი კონსტრუქციებისაგან შედგებოდა: სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული სტანდარტი, წიგნები (უფასო დისტრიბუციით), სწავლის მეთოდოლოგია, მართვის სტილი, თანამშრომლებთან შრომითი ურთიერთობის მშრალი წესი და სხვ. ახალმა რეალობამ ბევრი ცვლილება მოიყოლა და ყველაზე მტკივნეულად, ალბათ, მასწავლებლებისა და სკოლის ადმინისტრაციის წევრების კომპეტენციაზე იმოქმედა.

■ ქმნის დაბნეულობას:

ევანსი (2009) განათლების რეფორმის წარმატებით გატარების ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად სწორედ შუა კარიერის კრიზისს ასახელებს. მაიკლ ფულანი (2007) მასშტაბური საგანმანათლებლო რეფორმის კიდევ ერთ

« „ცვლილების განხორციელებისას მთავარი საკითხია ადამიანების მიდგომების და ქსევის შეცვლა, და არა მხოლოდ სტრატეგიის ან სტრუქტურის.“

ხელისშემშლელ ფაქტორად ასახელებს სათანადო სასკოლო კულტურის არარსებობას. ასეთ სკოლებში ერთი და ორი მასწავლებელი ამინდს ვერ ქმნის, ცვლილების ციკლი საკმაოდ მოკლეა და შედეგი არასასურველი.

ცვლილების წარმატებით განხორციელების სტრატეგია და ელემენტები

ფულანი (2007) ამტკიცებს, რომ თუ ჩვენ ცვლილებაზე დაწერილ ნებისმიერ 100 წიგნს მიმოვიხილავთ, აღმოვაჩენთ, რომ ცვლილების განხორციელებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანების სათანადოდ მოტივირებას. ცვლილების აგენტი/ლიდერი კარგად უნდა გაერკვიოს, თუ რა შეიძლება იყოს ადამიანების მოტივირების წყაროები და მათზე გააკეთოს ორიენტირი.

ფულანი ცვლილების წარმატებით განხორციელებისათვის შემდეგ რჩევებს გვაძლევს:


- განსაკუთრებული სიფრთხილით მოეკიდეთ ადამიანების ღირსებას და პატივი ეცით მათ;
- გაითვალისწინეთ, რომ ორგანიზაციაში/სისტემაში საუკეთესო ადამიანები არიან ჩართული ცვლილების დაგეგმვა-განხორციელების პროცესში;
- გააცნობიერეთ, რომ ნებისმიერი ცვლილება სოციალური ტიპის აქტივობაა და მხოლოდ თეორიული დაგეგმვა და გააზრება არ არის საკმარისი. საჭიროა პრაქტიკული აქტივობების გააზრება და დანერგვა;
- თავიდანვე გაიაზრეთ, რომ ფინანსური რესურსები და სათანადო უნარების მქონე ადამიანების ნაკლებობა უპირველესი პრობლემაა;
- ერთგული იყავით არჩეული კურსის, რაც, გარკვეულწილად, გადამდებია თქვენს მიმდევრებზე;

- შეიმუშავეთ შიდა ანგარიშვალდებულების სისტემა, რომელიც მჭიდროდ იქნება დაკავშირებული გარე ანგარიშვალდებულების მოთხოვნებთან;
- შექმენით პოზიტიური ზეწოლის ევოლუციისათვის საჭირო პირობები;
- გაუმყარეთ ადამიანებს თავდაჯერებულობის შეგრძნება.

როგორცენდი ჰარგრისი და ფლინკი (2007) მიუთითებენ, ამ ჩამონათვალის ყოველი კომპონენტი შესასრულებლად აუცილებელია (შედარებისთვის, აღნიშნავენ, რომ „ჩამონათვალი წარმოადგენს ერთ მთლიან კერძს და არა მენიუს“).

მაიკლ ფულანის აზრით, სკოლა მუდმივი ცვლილების ადგილია.

მკვლევარის სკოლაში მართივითი ცვლილების დანერგვისათვის საკმაოდ ეფექტურ მოდელს გვთავაზობს:



ასევე, ავტორი განიხილავს იმ ფაქტორებს, რომლებსაც, სავარაუდოდ, გავლენა ექნება ინიციატივის პროცესზე:

■ ინოვაციის ხარისხი:

ცვლილება წარმატებას არ ნიშნავს. ცვლილება, შესაძლოა, ნეგატიური ან მცირე შედეგის მომტანი გახდეს. როგორც 2007 წელს სამხრეთ კორეის განათლების სამინისტროში UNESCO-ს დელეგაციის წევრებს გვითხრეს, 2000 წელს ქვეყნის მასშტაბით განხორციელებულ ინოვაციას (სკოლების საკლასო ოთახებში დიდეკრანიანი ტელევიზორების განთავსება) თითქმის ნულოვანი ეფექტი ჰქონდა მოსწავლეთა სწავლის შედეგებზე. ინიციატორთა ვარაუდი, რომ ასეთი ტიპის ტექნიკა მკვეთრად გააუმჯობესებდა მოსწავლეთა მოტივაციას, სრული კრახით დამთავრდა. ეს ყოველივე კი გადასახადის გადამხდელებს, დაახლოებით, 250 მილიონი ამერიკული დოლარი დაუჯდათ. სრულიად განსხვავებული აღმოჩნდა სკოლის მოსწავლეების მაღალი ხარისხის ლებტოპებით უზრუნველყოფის პროექტი, რომელიც 2006 წლიდან ხორციელდება.

■ საჭირო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა:

ჩვენ Google-ის ეპოქაში ვცხოვრობთ და ინფორმაცია ადვილად ხელმისაწვდომი გახდა. ამასთან ერთად, სკოლის მოსწავლეები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები ესწრებიან უამრავ გადამხადებისა და პროფესიული განვითარების ტრენინგ-სემინარს და იღებენ სწავლასწავლებისა და მართვის საკითხებში განხილულ ინფორმაციას. ასევე, ინოვაციური მიდგომა, შესაძლოა, ჩვენივე სკოლის ერთ-ერთ საკლასო ოთახში უკვე წლების განმავლობაში არის დანერგილი და ამის შესახებ არაფერი ვიცით.

საჯარო სკოლებს შორის პროფესიული ურთიერთობის ნაკლებობა ხშირად ხელს უშლის საჭირო გამოცდილებისა და ინფორმაციის სათანადოდ გაცვლას;

■ ცვლილების განმარტებითი, ფასილიტატორი:

დიდი ზომის სკოლაში ადმინისტრაციას აუცილებლად დასჭირდება მოსწავლეებს შორის ცვლილების მხურვალე მხარდამჭერი და განმხორციელებელი, რათა შესაძლებელი გახდეს სხვების ჩართულობა;

■ თემის ღვაწლი ჩართულობა, აპათია, რაოზიზმი:

მთელი მსოფლიოს მასშტაბით, იშვიათია განათლების სისტემაში ახალი ინიციატივა, რომელიც სრულად მხარდაჭერილი იქნება სასკოლო საზოგადოების მხრიდან. როგორც ცვლილებაზე საუბრისას აღვნიშნეთ, ახალი ინიციატივა დანაკარგთან, ახალ წესრიგთან, სტატუს-კვოს შეცვლასთან არის დაკავშირებული, ეს კი სასკოლო საზოგადოების წევრთა გაკრვეულ ნაწილში აპათიას ბადებს. ასევე, უნდა აღვნიშნოთ, სასკოლო საზოგადოების მხრიდან საჯარო სკოლის მიმართ ნდობის დაბალი ხარისხი. ევანსი (2009) ამტკიცებს, რომ „თუ რამე მიზეზის გამო სტატუს-კვოს შენარჩუნება უფრო და უფრო ძვირი არ უჯდება კოლექტივს, ძლიერი კონსერვატორული იმპულსი და კულტურისა და წარსულის ნაერთი ზეგავლენა ინოვაციას ადვილად არ დაუშვებს“;

■ ფინანსური რესურსი:

სკოლის განვითარების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა კარგი საშუალებაა, რომ ეფექტურად გადანაწილდეს სკოლის გამგებლობაში არსებული თუნდაც მწირი ფინანსური რესურსი;

სკოლის

განვითარების

სტრატეგიული და

სამოქმედო გეგმა

პირში საშუალებაა,

რომ ეფექტურად

გადაანაწილდეს

სკოლის

გამგებლობაში

არსებული თუნდაც

მწირი ფინანსური

რესურსი.

■ გიურკრატიკა:

ეს ფაქტორი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეროვნულ დონეზე. ახალი ინიციატივის დროულად დანერგვა და ეფექტურობა დიდწილად არა მარტო სისტემის შიდა სტრუქტურულ ერთეულებს შორის, არამედ უწყებათშორის თანამშრომლობაზე დამოკიდებულია, ზოგადად, ითვლება, რომ დეცენტრალიზაცია ერთ-ერთი კარგი საშუალებაა, შემცირდეს ბიუროკრატიით გამოწვეული პრობლემები. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გარკვეული ზომის ბიუროკრატია ხარისხის მონიტორინგის ეფექტური მექანიზმი შეიძლება იყოს.

■ ცვლილების ფაქტორები


ცვლილების წარმატებით დანერგვისათვის, საკმაოდ საინტერესო მოსაზრებებს გვთავაზობს ევანსი (2009). ის ცვლილების პროცესს ამოცანებად, მიზნებად და მთავარ ფაქტორებად ყოფს:

■ კომპიუტერული „ჩვენი ნაბიჯის მოდელი“:


რეფორმის/ცვლილების წარმატებით დანერგვისათვის საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს ჰარვარდის ბიზნეს სკოლის პროფესორი ჯონ კოტერი (2007): „ცვლილების განხორციელებისას მთავარი საკითხია ადამიანების მიდგომების და ქცევის შეცვლა, და არა მხოლოდ სტრატეგიის ან სტრუქტურის.“

სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელებსა და გადაწყვეტილების მიმღებებს შორის, ასევე, სამეცნიერო ლიტერატურაში, პოპულარობით სარგებლობს ჯონ კოტერის (2014) ცვლილების განხორციელების საკმაოდ პრაქტიკული „რეცესიურიანი მოდელი“.

ამოცანა	მიზანი	მთავარი ფაქტორები
გაღობა	ცდის შიშის შემცირება	■ სტატუს-კვოს საწინააღმდეგო პოზიციის შექმნა ■ ფსიქოლოგიური უსაფრთხოების შეგრძნება
გადასვლა დანაკარგიდან ერთგულებისკენ	ცვლილებისთვის შინაარსის მიცემა	■ უწყვეტობა ■ დრო ■ პირადი კონტაქტები
გადასვლა ძველი კომპეტენციიდან ახალ კომპეტენციაზე	ახალი ქცევების, უნარების, რწმენისა და აზროვნების ხერხების გამოუმუშავება	თანწყობილი, მრავალეტაპიანი და ინდივიდუალური ტრენინგები
გადასვლა დაბნეულობიდან ჰარმონიულ გარემოზე	სტრუქტურების, ფუნქციებისა და როლების განმტკიცება	ცხადად განსაზღვრული პასუხისმგებლობა, უფლებამოსილება და გადაწყვეტილების მიღება
გადასვლა კონფლიქტიდან კონსენსუსზე	ცვლილებებისთვის ფართო მხარდაჭერის მოპოვება	■ კრიტიკული მასა ■ ზეწოლა ■ ძალაუფლების პოზიტიურად გამოყენება



მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი. კოტერი (2015) გვთავაზობს შემდეგი ტიპის რჩევებს:





» გაიკლ ფულანის აზრით, სკოლა გულისხმობს ცვლილების ადგილია.

1. **ცვლილების საჭიროების წარმოქმნა:**
გამოიყენეთ ყველა შესაძლებლობა, როგორც საშუალება, რათა შეძლოთ ხალხის სათანადოდ მოტივირება, ჩაერთონ ორგანიზაციაში მიმდინარე ცვლილების განხორციელებაში;
2. **გუნდის ფორმირება:**
ცვლილების განხორციელებამდე ჩამოაყალიბეთ საკუთარი გუნდი. ეს ხალხი დაგეხმარებათ როგორც ცვლილების დაგეგმვის პროცესში, ისე ამ ცვლილების განხორციელებასთან დაკავშირებული ამოცანების შესრულებაში;
3. **სკოლის ჩამოყალიბება:**
ჩამოაყალიბეთ სტრატეგიული ხედვა, რომელშიც გამოიკვეთება ცვლილების მიმართულება და მოსალოდნელი მდგომარეობა;
4. **სკოლის კომუნიკაცია:**
მხოლოდ გუნდის დახმარებით ცვლილებას ვერ დანერგავთ. საჭიროა დაარწმუნოთ უფრო მეტი ადამიანი, რათა მათ დაიჯერონ ცვლილების სიკეთეები და აქტიურად ჩაერთონ პროცესში;
5. **მოტივირება მოწინის მისაღწევად:**
შეეცადეთ მოტივაციის დონის ამაღლებას, რათა მართლაც გადაილახოს ცვლილების დაგეგმვასთან დაკავშირებული ბარიერები;
6. **მოკლევადიანი მიზნები:**
შეეცადეთ, ცვლილების დაგეგმვიდან მალევე მიაღწიოთ მცირე ზომის გამარჯვებებს და დაუკავშირეთ ისინი უფრო დიდ მიზნებსა და გამარჯვებებს;
7. **გაზარდეთ ცვლილების დანერგვის ტემპი:**
შეცვალეთ სისტემა, სტრუქტურა და პოლიტიკა, რომელიც არ ეთანხმება ცვლილების ხედვას; მუდმივად განახლეთ და წახალისეთ ახალი პროექტები და იდეები;
8. **ცვლილების გაყვარება:**
უზრუნველყავით ახალი ქცევის ნორმების განმტკიცება და ცვლილების მდგრადი განვითარების მხარდაჭერა ადმინისტრირების კუთხით.

როგორ ვიყენებთ სკოლის გარეთ არსებულ რესურსებს?

რაგდენივე დააპირებთ ისტორიის კვლევის მაგალითზე



სკოლებში ინოვაციებისა და თანამედროვე საგანმანათლებლო მეთოდების დაწერვაზე საუბრისას, ხშირად მოგვისმენია შეზღუდვების შესახებ, რაც მასწავლებლებსა და სკოლის ადმინისტრატორებს აწუხებთ. გარდა საკანონმდებლო შეზღუდვებისა, ხშირად პრობლემად რესურსების ნაკლებობა სახელდება. მართლაც, სკოლები განებივრებული არ არიან ტექნოლოგიებით, მდიდარი ბიბლიოთეკებითა და ლაბორატორიებით. თუმცა, აქვე შეგვიძლია დავფიქრდეთ, რამდენად ვამჩნევთ იმ მდიდარ რესურსებს, რომელიც სკოლების გარშემო არსებობს და რამდენად გვაქვს სურვილი და უნარი მათი გამოყენების?

ამ თემაზე სასაუბროდ მინდარამდენიმე დაკვირვება და საკუთარი გამოცდილება გავიზიაროთ. მსჯელობა რომ უფრო საინტერესო გავხადო, ისტორიის სწავლისა და სწავლების შესახებ უახლეს კვლევას დავყვარდნობი. თავდაპირველად გაგაცნობთ ამ კვლევას და მისი ბოლო მიგნებას, შემდეგ კი ვიმსჯელებ იმის შესახებ, თუ რას გვეუბნება ეს კვლევა ისტორიის სწავლების ფარგლებში რესურსების გამოყენების თაობაზე.

სასკოლო საგნებს შორის ისტორია განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. ისტორიის საგნის ფაგლებში, მოსწავლეები მხოლოდ იმ ამბავს არ ეცნობიან, რაც კაცობრიობას ან ჩვენს ერს გადახდენია თავს; ამ

საგნის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა, ასევე, დაეხმაროს ახალგაზრდებს საკუთარი ეროვნული იდენტობის და სხვადასხვა მნიშვნელოვანი ღირებულების ჩამოყალიბებაში. ამ საგნის დახმარებით, მოსწავლეებს აქვთ საშუალება, გაიაზრონ, რა არის პატრიოტიზმი, როგორ ყალიბდება საზოგადოებები, რა განაპირობებს სახელმწიფოების აღმავლობასა და დაღმასვლას, რა წარმოდგენები წარმართავს ადამიანების ცხოვრებას სხვადასხვა დროს, როგორ იქმნება და იცვლება კულტურები და სხვ.

ისტორიის მნიშვნელობიდან გამომდინარე, პერიოდულად აქტიურდება მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორი სახელმძღვანელოებით სწავლობენ ჩვენი მოსწავლეები, როგორია სასწავლო გეგმა, როგორ უყურებენ მასწავლებლები სხვადასხვა საკითხს. სამწუხაროდ, კვლევები იმის შესახებ, თუ როგორ იაზრებენ ისტორიას, როგორ ესმით ისტორიის ირგვლივ სხვადასხვა საკითხი მოსწავლეებს — საქართველოში იშვიათია.

ამ ხარვეზის ამოსავსებად, 2021 წელს ჰაინრიხ ბიოლის ფონდის ინიციატივით, ჩატარდა კვლევა, რომელიც ორგანიზაციამ „ჩვენ ვიკვლევთ“ განახორციელა. რადგან მეც ჩართული ვიყავი ამ კვლევაში, მინდა ჩემი რამდენიმე დაკვირვება გავიზიაროთ, რაც, შესაძლოა, სკოლის მართვის საკითხებთან იყოს დაკავშირებული.



სიმონ ჯანაშვილი

განათლების სპეციალისტი, გვერდისარი

ამ საგნის დახმარებით, მოსწავლეებს აქვთ საშუალება, გაიაზრონ, რა არის პატრიოტიზმი, როგორ ყალიბდება საზოგადოებები, რა განაპირობებს სახელმწიფოების აღმავლობასა და დაღმასვლას, რა წარმოდგენები წარმართავს ადამიანების ცხოვრებას სხვადასხვა დროს, როგორ იქმნება და იცვლება კულტურები და სხვ.



თუმცა, სანამ ჩემს დაკვირვებამდე მივალ, მინდა მოკლედ კვლევის მიზნები და მეთოდოლოგია მიმოვიხილო. კვლევის მიზანი იყო, შეგვესწავლა, თუ რა დამოკიდებულებები აქვთ მოსწავლეებს ისტორიის მიმართ, რა წყაროებით შეიმეცნებენ ისტორიას და როგორ ურთიერთობენ ამ წყაროებთან, როგორია ამ მოსწავლეების გამოცდილება საგანმანათლებლო სივრცეებში, ისტორიის შესწავლის დროს და სხვა მრავალი საინტერესო საკითხი, რაც მათ წარმოდგენებს უკავშირდება.

კვლევა რამდენიმე ეტაპს გულისხმობდა. თავდაპირველად შევისწავლეთ წინა კვლევები და სხვადასხვა დოკუმენტი, რომელიც საშუალებას მოგვცემდა, ჩვენი კვლევის საკითხში გვები შეგვეჩინა. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო კვლევა, რომელიც ჩვენი კვლევის მიზნების ანალოგიური იყო და 90-იან წლებში ჩატარდა ევროპის 27 ქვეყანაში. ეს მასალა დაგვცხმარა, დაგვენახა, თუ რა კითხვებით და ანალიზის რა შესაძლებლობებით შეგვიძლია ისტორიის საკითხის კვლევა ახალგაზრდებში.

შემდეგ ეტაპზე გამოვკითხეთ მე-9, მე-10, მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლეები. გამოკითხვა ჩატარდა 118 საჯარო სკოლაში. სკოლები ისე იყო შერჩეული, შედეგების საქართველოს მასშტაბით განზოგადების შესაძლებლობა რომ მოეცა. ეს ნიშნავს, რომ გამოყენებული სტატისტიკური მეთოდები გვაძლევს იმის ძალიან მაღალ ალბათობას, რომ ჩვენს კვლევაში მიღებული შედეგები იმის მსგავს სურათს აღწერს, რა შედეგსაც მივიღებდით, საქართველოს ყველა საჯარო სკოლა რომ გამოგვეკითხა.


ბოლო ეტაპზე ჯგუფური ინტერვიუები ავიღეთ მოსწავლეებისგან, სკოლადაშთავრებულებისა და მასწავლებლებისგან. ინტერვიუებში გვაინტერესებდა იმ საკითხების დაზუსტება, რაც კითხვარით

მიღებულ პასუხებში გამოჩნდა.

კვლევის სრული ანგარიში შეგიძლიათ ნახოთ ამ ბმულზე: <https://ge.boell.org/ka/2022/04/28/sakartvelos-akhalgazrdebida-istoria>

გირჩევთ მის წაკითხვას და, ასევე, ისტორიის მასწავლებლებისთვის გაზიარებასაც, რადგან შეიძლება ბევრ ისეთ საკითხზე დაგაფიქროთ, რაც ისტორიის სწავლების გასაუმჯობესებლად გამოგადგებათ.

ჩამოვანა ხშირად იღებთ ინფორმაციას ისტორიის შესახებ შემდეგი წყაროებიდან? (%)



კვლევა „საქართველოს ახალგაზრდობა და ისტორია“ აჩვენა, რომ ისტორიის შესასწავლად მოსწავლეებისთვის მნიშვნელოვანია სასკოლო წყაროები: სახელმძღვანელოები და მასწავლებლები. თუმცა, აქვე გამოჩნდა, რომ ისინი არანაკლები სიხშირით იყენებენ ისტორიის შესასწავლად ისეთ ნაკლებად სტრუქტურირებულ წყაროებს, როგორიც არის მედია და ინტერნეტი. ეს თითქმის მოულოდნელი არ არის, მაგრამ მნიშვნელოვანია იმის საილუსტრაციოდ, რომ ნელ-ნელა საგანმანათლებლო დაწესებულება სულ უფრო მეტ კონკურენციას განიცდის ცოდნის მიღების სხვა საშუალებებთან, იმ გარემოსთან, რომელიც სკოლის გარეთ არსებობს.

რატომ არის ამ კონკურენციაზე დაფიქრება მნიშვნელოვანი? თუ მოსწავლეები სულ უფრო ხშირად ინტერნეტით და მედიის მეშვეობით იღებენ ინფორმაციას ის-

გრაფიკი 1.

ინფორმაციის მიღების საშუალებები.

წყარო: საპროექტო ანგარიშგება და ისტორია, 2021.

ტორიის შესახებ, ეს მასწავლებლებს ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს. მასწავლებელს არა მხოლოდ ახალი ინფორმაციის გაზიარება მოუწევს მოსწავლეებისთვის, ახალ გარემოში მან მოსწავლეების მიერ მიღებული ალტერნატიული ინფორმაციაც უნდა გაითვალისწინოს. ეს ინფორმაცია კი, უკვე ვიცით, ხშირ შემთხვევაში ყალბია, მიკერძოებული ან იმდენად დაბალი ხარისხის, რომ შეიძლება მოსწავლეებში არაადეკვატურ წარმოდგენებს აყალიბებდეს საკუთარი და სხვა ქვეყნის წარსულის მიმართ.

სკოლის გარე, ალტერნატიული წყაროებისგან მიღებულ ინფორმაციას მოსწავლეებიც ეჭვით უყურებენ. ჩვენი კვლევის ფარგლებში ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ მოსწავლეები მედიითა და ინტერნეტით მიღებულ ცოდნას ყველაზე ნაკლებად ენდობიან. ეს შეიძლება, ერთი მხრივ, გამოხატავდეს საზოგადოებაში ზოგადად არსებულ უნდობლობას ინფორმაციის მიღების ამ საშუალებების მიმართ; შესაძლოა, ამგვარ კრიტიკულ შეფასებას, ასევე, ხელს უწყობდეს მედიაწიგნიერების უნარების განვითარების მიმართ სკოლაში მზარდი ინტერესიც.


როგორც ილუსტრაციაზე ხედავთ, სკოლის მოსწავლეებს ყველაზე სანდოდ მუზეუმები და ისტორიულ ადგილებში მიღებული ინფორმაცია მიაჩნიათ. თუ პირველი ილუსტრაციას დაუბრუნდებით, იქნახავთ, რომ ამ წყაროებს ყველაზე იშვიათად მმართვენი. ეს გასაკვირი არ არის, რადგან ისევე, როგორც ინტერნეტისა და მედიის შემთხვევაში, მუზეუმსა და ისტორიულ ადგილებზე განთავსებულ ინფორმაციასთან ყოველდღიურად ვერ იურთიერთებ. თუმცა, აქტიურ ალბათ დაფიქრება, თუ როგორ შეიძლება გამოვიყენოთ მოსწავლეების უკვე არსებული ნდობა ზოგიერთი წყაროს მიმართ, მათი განათლების ხარისხის ასამაღლებლად.

მუზეუმებში თუ ექსკურსიებზე მოსწავლეების ტარება ადვილი არ არის. მუზეუმები ყველა დასახლებაში არ გვაქვს. ექსკურსიები კი რთულ დაგეგმვასა და ახლა უკვე დეტალურ რეგულაციებთან გამკლავებასაც გულისხმობს. მუზეუმებში მოსწავლეთა ჯგუფების ტარება მასწავლებლებს ხშირად მათი დატვირთვის გამო უჭირთ. შეიძლება მასწავლებელი სკოლაში 8-10 დანაყოფსაც კი ასწავლიდეს. ამდენ ჯერზე მუზეუმში წასვლა მისთვის მარტივი არ იქნება. მარტივი საკითხი არ არის ტრანსპორტის ორგანიზებაც, რომ მასწავლებელმა ბავშვები მუზეუმში გაკვეთილების შემდეგ წაიყვანოს. რთულია მშობლებთან შეთანხმება, რომ გაკვეთილების შემდეგ საკუთარი შვილები მუზეუმში მოიყვანონ. ბავშვების ნაწილი გაკვეთილების შემდეგ დაკავებულია სხვა საოჯახო თუ საგანმანათლებლო საქმეებით.

თავად მუზეუმში ყოფნისას, მაქსიმალური საგანმანათლებლო შედეგის მიღებაც არ არის მარტივი. მოსწავლეებს, რომლებსაც მუზეუმის დათვალიერების მცირე გამოცდილება აქვთ, ჯგუფურად ლექციების მოსმენა უჭირთ. მასწავლებლებს მუდმივად უწევთ

გრაფიკი 2.
ინფორმაციის მიღების საშუალებების დროგა, დალაგებული კლასიფიკაციით.
წყარო: საპარტნიორო ანგარიშგება და ისტორია, 2021.

ჩამოთვალე პერიოდში უკვე რამდენჯერ იყავით ისტორიის მუზეუმში? (%)



» საქართველოს ეროვნულ
მუზეუმს თავის
ვებგვერდზე რამდენიმე
წელია, რაც გაშვებული
აქვს ვირტუალური
ტურები. აქვე, საკუთარი
კომპიუტერიდან
ან ინტარნეტში
შეერთებული სხვა
მოწყობილობით,
საშუალება გაქვთ,
დაათვალიეროთ
მუზეუმის უმდიდრესი
კოლექციები, იარაღთ
მუზეუმების ღარბაზების
სამგანოთქმულიან
მოძლიერებულ
სივრცეებში და გაეცნოთ
ყველა იმ ინფორმაციას,
რაც მუზეუმშია
გამოფენილი.

დისციპლინის მართვა. თუ მუზეუმში ექს-
კურსიამძღოლი გვხვდება, მას ხანდახან
ბავშვებთან უშუალო კონტაქტის დამყარე-
ბაც უძნელდება, რადგან მათ არ იცნობს.
ეს პრობლემები თავადაც არაერთხელ
შემქმნია, როდესაც, როგორც ისტორიის
მასწავლებელს, მოსწავლეები მუზეუმებში
დამყავდა.

ამ პრობლემის ნაწილობრივ შემცირება
შეიძლება, თუ მუზეუმის დათვალიერებას
მოსწავლეებისთვის, განსაკუთრებით კი
უფროსკლასელებისთვის, ინდივიდუალურ
ან მცირე ჯგუფებში განსახორციელებელ
დავალებად ვაქცევთ. ამ დავალების შე-
სადგენად პირადად მომიწია მუზეუმში მის-
ვლა და მოსწავლეების თვალთ მისი დათ-
ვალიერება. ამ დროს ჩავიწერე, რომელ
ღარბაზში რისი ნახატიცნობდა შესაძლებე-
ლი. ამ ინფორმაციის გამოყენებით მოვი-
ფიქრე ის დავალებები, რომელიც მოსწავ-
ლეებს მუზეუმის დათვალიერებაში დაეხ-
მარებოდა.

დავალება კი ასე იყო ორგანიზებული.
ერთი თვის განმავლობაში მეთექვსმეტი
მოსწავლეები მუზეუმში დამოუკიდებლად
უნდა მისულიყვნენ. მათთვის შემუშავებული
მქონდა გეგმა – რომელი ღარბაზი დაეთ-
ვალიერებინათ და რა ტიპის ექსპონატები
შეესწავლათ – სამუშაო იარაღი, საბრძოლო
იარაღი, სამკაული და სხვა. მათ ჰქონდათ
დავალებული არა მხოლოდ დაეთვალი-
ერებინათ არტეფაქტები, არამედ შეედა-
რებინათ ორი ექსპონატი ერთმანეთთან,
გაეკეთებინათ ჩანახატი. ვადის გასვლის
შემდეგ მოსწავლეებმა პრეზენტაციები ჩა-
ატარეს, სადაც არამხოლოდ მოგროვებული
ინფორმაციის ანალიზს გვთავაზობდნენ,
არამედ ჰყვებოდნენ საკუთარ შთაბეჭდი-
ლებებს მუზეუმთან ურთიერთობის გამოც-
დილების შესახებ.


რატომ იყო ასეთი დავალება სასარ-
გებლო მოსწავლეების უმეტესობისთვის?

პირველი, ისინი მათთვის ყველაზე მოსა-
ხერხებელ დროს მიდიოდნენ მუზეუმში.
მეორე, ისინი თავად ირჩევდნენ, ვისთან
ერთად წავიდოდნენ. კლასელების ნაწი-
ლი შეთანხდა და მცირე ჯგუფებში ასრუ-
ლებდნენ დავალებას. მესამე, მოსწავ-
ლეებმა მუზეუმის დამოუკიდებლად, აქტი-
ურად დათვალიერების გამოცდილება ამ
დავალების კეთებისას პირველად მიიღეს.
მათ მოსწონდათ, რომ ენდობიან, რომ
მათგან ელიან, რომ ისინი პასუხისმგებ-
ლობით მოეკიდებიან საქმეს და ისიც, რომ
მათ მუზეუმში ცხვრებივით არ მწყემსავენ
(ეს მოსწავლეების ნათქვამი ფრაზაა).

შეიძლება ამ სტატიის მკითხველმა იკით-
ხოს, რა ქნან იმ მოსწავლეებმა, რომლე-
ბიც ისეთ დასახლებაში ცხოვრობენ, რო-
მელშიც მუზეუმები არ გვაქვს? აი, სწორედ
აქ შეიძლება გავითვალისწინოთ ის ინფორ-
მაცია, რაც ისტორიის და ახალგაზრდობის
კვლევაში გვხვდება – რომ მოსწავლეები
გამოცდილები არიან ინტერნეტით სარ-
გებლობაში და, ამავდროულად, ენდობი-
ან მუზეუმებს. შესაბამისად, თუ ინტერნეტ-
ში განთავსებულ სამუზეუმო მასალებს გა-
მოვიყენებთ, ჩვენი სკოლების შესაძლებ-
ლობები მნიშვნელოვნად გაიზრდება.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმს თავის
ვებგვერდზე რამდენიმე წელია, რაც
გაშვებული აქვს ვირტუალური ტურები.
აქვე, საკუთარი კომპიუტერიდან ან ინტერ-
ნეტში შეერთებული სხვა მოწყობილობით,
საშუალება გაქვთ, დაათვალიეროთ მუზე-
უმის უმდიდრესი კოლექციები, იარაღთ
მუზეუმების ღარბაზების სამგანოთქმულიან
მოძლიერებულ სივრცეებში და გაეცნოთ
ყველა იმ ინფორმაციას, რაც მუზეუმშია
გამოფენილი. ვირტუალური ტურების ნახვა
შეგიძლიათ ამ ბმულზე [http://museum.ge/
index.php?lang_id=GEO&sec_id=60](http://museum.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=60)

ჩაქვანა სართ ღაინფარასაბუღი შაქვანი თაქვანი ისტორიანა? (%)



ბრაქვანი 3. თაქვანი ღაინფარასა, ღაქვანი კლავანი.


შაქვანი: სსპანი ღაქვანი ღაქვანი, 2021.

როგორც ილუსტრაციებზე (გრაფიკი 3 და 4) ჩანს, ახალგაზრდობისა და ისტორიის კვლევის კიდეც ერთი მიგნება იყო, რომ მოსწავლეებს განსაკუთრებით აინტერესებთ საკუთარი ოჯახისა და, ასევე, საკუთარი ადგილობრივი თემის ისტორია. ამავე კვლევაში ისიც გამოჩნდა, რომ მოსწავლეების ნაწილი უკმაყოფილო იყო იმით, რომ უახლესი ისტორია ნაკლებად ისწავლება. ვფიქრობ, ამ ინტერესის გამოყენება ასევე შეიძლება სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებისთვის. კერძოდ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მშობლებისა და ბებია-ბაბუების თაობა მდიდარი წყაროა უახლესი ისტორიის შესასწავლად, მასწავლებლებმა შეიძლება მოსწავლეებს დაავალონ, რომ საკუთარი ოჯახებიდან ან თემში მცხოვრები სხვა ადამიანებისგან აიღონ ინტერვიუები

ბრაქვანი 4. ისტორიის ბოქვანი, ღაქვანი კლავანი.

შაქვანი: სსპანი ღაქვანი ღაქვანი, 2021.

ჩაქვანა ბაინფარასა ბაქვანი ბოქვანი ისტორიანა? (%)



ისტორიულ ადგილებთან, ისტორიულ მოვლენებთან ან პიროვნებებთან დაკავშირებით.

როდესაც ჩემს მოსწავლეებს მსგავსი სავარჯიშო მივეცი, დავავალე, რამდენიმე კვირაში, საინტერესო რესპონდენტები მოეძებნათ და მათგან ჯერ „დაუწერელი ისტორია“ შეგროვებინათ. პრეზენტაციებზე მოსწავლეები განსაკუთრებული ინტერესით უსმენდნენ ერთმანეთს. უამრავი რამ ვისწავლეთ ყველამ. ნაწილმა ბებია-ბაბუებისგან გაიგო ისეთი საკითხების შესახებ, როგორიც იყო, მაგალითად, საბჭოთა მელია და პროპაგანდა, ზოგმა დევნილების დასახლებაში ინტერვიუები აიღო აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულებისგან აფხაზეთში გავრცელებული ტრადიციების შესახებ. ზოგმა შეისწავლა თუ როგორ ვითარდებოდა კონკრეტული დასახლებები და ქალაქის უბნები.

ცხადია, ამგვარი პროცესის დაგეგმვა და განხორციელება ადვილი არ არის. საჭირო იქნება დაფიქრება იმის შესახებ თუ რამართება შეიძლება იყოს ოფიციალური ისტორიისა და ოჯახებში მიღებულ ინფორაციას შორის. ჩვენი კვლევის მონაწილე მოსწავლეებიც მსჯელობდნენ იმ განსხვავებებზე, რაც სახლში მიღებულ ინფორმაციასა და სკოლაში მიღებულ ცოდნას შორის არსებობს. ასეთ საკითხად მოსწავლეები ასახელებდნენ საბჭოთა ისტორიის, სადაც შესაძლებელია სახლში უფრო დადებითი განწყობები ისმოდეს, ვიდრე სახელმძღვანელოებში ამოვიკითხავთ.

თუმცა, აი, ამ მაგალითებში, რაც მოგიყვანეთ, ჩანს ის, რომ სკოლის გარეთ არსებული რესურსები უფრო მდიდარ შესაძლებლობებს გვაძლევს სწავლებისას, ვიდრე ჩვენ, მასწავლებლები ვიყენებთ. ხშირად ვერ ვაცნობიერებთ, რომ მოსწავლეებს ჩვენგან დამოუკიდებლადაც აქვთ უნარი, იკვლიონ, დაათვალიერონ, შეაგროვონ საინ-



» **სკოლის გარეთ
არსებულ კულტურულ,
გეოგრაფიულ თუ
სოციალურ სივრცეებთან
ურთიერთობა სკოლის
ერთ-ერთი ყველაზე
მნიშვნელოვანი
ამოცანაა.**

ტერესონფორმაცია.ისმასწავლებლებიდა სკოლები, რომლებიც ამას აცნობიერებენ, უფრო მეტად იყენებენ სკოლის გარეთ არსებულ რესურსებს არა მხოლოდ ისტორიის, არამედ ბუნებისმეტყველების, უცხო ენების, გეოგრაფიის, ქართული ენისა და ლიტერატურის დასხვა საგნების შესასწავლად. ასეთ სკოლებში მათემატიკის მასწავლებელმა შეიძლება გეომეტრიაში მიღებული ცოდნა მოსწავლეებს ადგილობრივი არქიტექტურული ძეგლების შესასწავლად გამოაყენებინოს. ქართულის მასწავლებელმა ადგილობრივი დიალექტების ლექსიკონის შედგენით, მოსწავლეებს სალიტერატურო ენა ასწავლოს. გეოგრაფიის მასწავლებელმა ტურისტული მარშრუტის მოფიქრებით, ადგილობრივი ლანდშაფტის თავისებურებებზე დააფიქროს მოსწავლეები.

სკოლის გარეთ არსებულ კულტურულ, გეოგრაფიულ თუ სოციალურ სივრცეებთან ურთიერთობა სკოლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა. რაც უფრო

მჭიდროდ იქნება სკოლა დაკავშირებული ამ გარემოსთან, არა მხოლოდ სასწავლო პროცესი დაუახლოვდება მოსწავლეების ინტერესებს, არამედ უფრო მეტი იქნება იმის შესაძლებლობა, რომ განათლება საზოგადოებრივი ცხოვრების ბუნებრივი, და არა ფორმალური ნაწილი იყოს.

არაფორმალური განათლება და სწავლა: ჩარჩო, მეთოდოლოგია და ფილოსოფია



პელეუს ფენასი

არაფორმალურ განათლებას აქვს ხანგრძლივი და ცოცხალი ტრადიცია ევროპაში – ტრადიცია, რომლის ჩამოყალიბებაც ევროპის საბჭოს მიერ, კერძოდ, ახალგაზრდული სექტორის მიერ, ფართოდაა აღიარებული. იგი საბჭოს ახალგაზრდული პროგრამების ძირითად მეთოდოლოგიად და ფილოსოფიად ითვლება, თუმცა, თვითონ ტერმინი „არაფორმალური განათლება“, როგორც ასეთი, მხოლოდ 1990-იან წლებში დაინერგა¹.

1945 წლის შემდგომ, ღირებულებებზე დაფუძნებული განათლების საჭიროებითა და რწმენის საკითხით დაწყებული, ხოლო დღევანდელათა სწავლაში მოქალაქეობისა და დასაქმების მხარდასაჭერად ცხოვრებისეული უნარების შეძენასთან დაკავშირებით, ევროპის ახალგაზრდულმა ცენტრებმა, ევროპის ახალგაზრდულმა ფონდმა და ახალგაზრდულმა პარტნიორობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს არაფორმალური განათლებისა და სწავლის კონცეფციებისა და მეთოდოლოგიების შემუშავებაში; მისი ღირებულების დამტკიცებასა და განვითარებაში; მისი აღიარების ინიცირებასა და მხარდაჭერაში; მისი ხარისხის ამაღლებასა და დოკუმენტირებაში; განათლებასა და სოციალურ ცვლილებებში მის მიერ შეტანილი წვლილის აღიარებასა და კვლევაში.

1972 წელს, სტრასბურგში პირველი ევროპული ახალგაზრდული ცენტრის დაარსებიდან 40 წლის შემდგომ, როგორც ევროპის მომავლის განხილვის არენა და ექსპერიმენტული სწავლისა და განათლების რეფორმირების ლაბორატორია, არაფორმალური განათლება ფართოდ გამოყენებული ჩარჩო და კარგად დოკუმენტირებული კონცეფცია გახდა ახალგაზრდულ სექტორში და მის მიღმა. იგი აღნიშნავს სწავლის ძირითად პრინციპებს, მეთოდოლოგიასა და მიდგომებს, რომლებიც ჩვეულებრივ ხაზს უსვამს მოსწავლის შინაგან მოტივაციას, ნებაყოფლობით ჩართულობას, კრიტიკულ აზროვნებასა და დემოკრატიულ პროცესში აქტიური როლის შესრულებას; ფართოდაა ცნობილი და აღიარებული, როგორც ყოველდღიურად მილიონობით ახალგაზრდა ევროპელისთვის სწავლის უნიკალური შესაძლებლობების მიღების პროცესი. იგი საგანმანათლებლო პრინციპია, რომელიც საფუძვლად უდევს ევროპის საბჭოს ინსტიტუციურ ახალგაზრდულ სექტორებს, ევროკავშირსა და მათ ახალგაზრდულ პარტნიორობას; ამას გარდა, წარმოადგენს ახალგაზრდების მუშაობის უზრუნველყოფის იდენტიფიცირებულ და სავალდებულო პრინციპს ევროპასა და მის ფარგლებს გარეთ.



როგორც ევროპის

მომავლის

განხილვის არენა და

ექსპერიმენტული

სწავლისა და განათლების

რეფორმირების

ლაბორატორია,

არაფორმალური

განათლება ფართოდ

გამოყენებული

ჩარჩო და კარგად

დოკუმენტირებული

კონცეფცია გახდა

ახალგაზრდულ სექტორში

და მის გარეშე.

» „როგორც ფორმალური განათლების უმეცნეველი, არაფორმალური სწავლა ახალგაზრდებისთვის უნდა განვითარდეს და აღიარებულ იქნეს, ასევე, ჩამოყალიბდეს უკეთესი პრაქტიკები ფორმალურ განათლებასა და არაფორმალურ სწავლას შორის“.

არაფორმალური განათლებისა და
სწავლის მნიშვნელობა, აქტუალობა და
პოლიტიკური აღიარება

გასული ათწლეულების განმავლობაში არაფორმალური განათლების მნიშვნელობა და აქტუალობა სულ უფრო მეტად აღიარებულია სამოქალაქო საზოგადოების, მთავრობებისა და ევროპული ინსტიტუტების მიერ. მუდმივად დასტურდება, რომ არაფორმალური სწავლა და განათლება განათლებასთან დაკავშირებული ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების ძირითადი პრიორიტეტები და სამუშაო სფეროებია.

არაფორმალურ განათლებასა და სწავლას ევროპულმა ინსტიტუტებმა ასევე მაღალი სტატუსი და მნიშვნელოვანი ბიძგი მისცეს მაღალი დონის პოლიტიკური დოკუმენტებით: ევროპის საბჭო, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003)8 ახალგაზრდების არაფორმალური განათლების/სწავლის ხელშეწყობისა და აღიარების შესახებ; ევროკავშირი, 2006/C168 რეზოლუცია არაფორმალურისა და ფორმალური სასწავლო გარემოდან განსხვავებულ გარემოში მიღებული განათლების ღირებულების აღიარების შესახებ.

შესაბამისად, არაფორმალური სწავლა და განათლება უდავოდ ჩამოყალიბდა ძირითად პრიორიტეტებად ევროპული ინსტიტუტების პოლიტიკისა და პროგრამების ფარგლებში. ევროპის საბჭოსთვის მინისტრთა კონფერენციამ 2020 წლის დღის წესრიგში ხაზგასმით აღნიშნა, რომ არაფორმალური განათლებისა და სწავლის აღიარება დიდ წვლილს შეიტანს ახალგაზრდების მიერ განათლებაზე, ტრენინგსა და სამუშაო ცხოვრებაზე ხელმისაწვდომობაში. გარდა ამისა, ევროპის საბჭოს ქარტია დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებების სწავლების შესახებ, მიუთითებს არაფორმალური განათლების

მიერ ცენტრალური როლის შეთავსებაზე დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების სწავლების შესახებ განათლების მიღებაში. ანალოგიურად, ევროკავშირმა კიდევ ერთხელ დაადასტურა საკუთარი დამოკიდებულება განახლებულ ჩარჩოებში არაფორმალური სწავლის აღიარებაზე ევროპის თანამშრომლობისთვის ახალგაზრდულ სექტორში (2010-2018): „როგორც ფორმალური განათლების შემავსებელი, არაფორმალური სწავლა ახალგაზრდებისთვის უნდა განვითარდეს და აღიარებულ იქნეს, ასევე, ჩამოყალიბდეს უკეთესი პრაქტიკები ფორმალურ განათლებასა და არაფორმალურ სწავლას შორის“.

მოსწავლეზე ორიენტირებული და პრაქტიკაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროცესების მრავალფეროვნების მიმართ პოლიტიკური ინტერესი, რომელიც ექვემდებარებოდა არაფორმალურ განათლებასა და სწავლებას წლების განმავლობაში, კიდევ უფრო გაფართოვდა და ხარისხის სტანდარტებზე, ვალიდაციასა და აღიარების სტრატეგიებზე გადაერთო.

არაფორმალური განათლების პოლიტიკისა და აღიარების გზები

არაფორმალური განათლების პოლიტიკის ჩარჩოში ჩართულობით, შემუშავდა რამდენიმე ინსტრუმენტი, რომელიც ხელს შეუწყობს არაფორმალური სწავლით შეძენილი უნარებისა და კომპეტენციების ვალიდაციასა და აღიარებას. მათ შორის არის ევროპული პორტფოლიო ახალგაზრდა ლიდერებისთვის და ახალგაზრდა მუშაკებისთვის, რომელიც შემოიღო ევროპის საბჭომ, რათა მხარი დაუჭიროს ახალგაზრდა მუშაკებსა და ახალგაზრდა ლიდერებს მათი კომპეტენციების იდენტიფიცირებაში, აღწერასა და შეფასებაში და ამით ხელი შეუწყოს არაფორმალური განათლებისა და სწავლის აღიარებას.

ხარისხის სტანდარტების, ვალიდაციისა და აღიარებისკენ ეს გადასვლა ჩანს 2004 და 2011 წლების “Pathways” დოკუმენტებში². ორივე არის სამუშაო დოკუმენტი, რომელიც ერთობლივად შემუშავდა ევროპის საბჭოს ახალგაზრდული დეპარტამენტისა და ევროკავშირის კომისიის ახალგაზრდული განყოფილების მიერ, მათი პარტნიორობის ფარგლებში, მათ შორის, ევროპის ახალგაზრდულ ფორუმთან თანამშრომლობით. ნაშრომები იძლევა ყოველის მომცველ მიმოხილვას არაფორმალური განათლების გარშემო არსებული პოლიტიკური კონტექსტისა და შესაბამისი პოლიტიკის ჩარჩოების შესახებ, აღწერს არაფორმალური სწავლების ძირითად ფუნქციებსა და მახასიათებლებს ახალგაზრდულ სექტორში და ასახავს გზებს მისი ვალიდაციისა და ფორმალური აღიარების მისაღწევად.

2011 წლის სამუშაო დოკუმენტი „ევროპაში არაფორმალური სწავლის/განათლებისა და ახალგაზრდული მუშაობის აღიარებისთვის საჭირო გზები 2.0“ ასახავს ათ ნაბიჯს აღიარებისთვის საჭირო განახლებული სტრატეგიისთვის და ამტკიცებს, რომ დროა, განხორციელდეს კონკრეტული ნაბიჯები, მათ შორის:

- საერთო აღქმისა და ერთობლივი სტრატეგიის შემუშავება ახალგაზრდულ სექტორში და თანამშრომლობისა და კომუნიკაციის გაუმჯობესება;
- ახალგაზრდული ორგანიზაციების როლის წარმოჩენა;
- არაფორმალური განათლების/სწავლის ხარისხისა და ტრენინგის უზრუნველყოფა;
- ახალგაზრდულ სამუშაოში არაფორმალური განათლების/სწავლის შესახებ ცოდნის ამაღლება;
- არსებული ინსტრუმენტების შემდგომი განვითარება და მათი ხელმისაწვდომობა და ტრანსფერი;

- პოლიტიკური პროცესის გაძლიერება ევროპულ დონეზე;
- ახალგაზრდების დაკავშირება უწყვეტი სწავლის სტრატეგიებთან და პირიქით;
- დასაქმების სექტორში დაინტერესებული პირების ჩართვა;
- სოციალური სექტორის ასოცირება;
- პოლიტიკის სხვა სფეროებთან და სამოქალაქო საზოგადოების დაინტერესებულ ჯგუფებთან თანამშრომლობა.

2000 წელს, ევროპის საბჭოს ახალგაზრდული სექტორის ორგანიზებით, გაიმართა არაფორმალური განათლების სიმპოზიუმი. არაფორმალური განათლების პირველმა სიმპოზიუმმა გადამწყვეტი წვლილი შეიტანა არაფორმალური განათლების დასაბუთებასა და გადამოწმებაში, თუ როგორ აღიქმებოდა არაფორმალური განათლება, როგორ იყო გაგებული იგი და როგორ ინერგებოდა პრაქტიკაში მთელი ევროპის მასშტაბით.

საერთო ელემენტები არაფორმალური სწავლების არსებულ განმარტებებში

- მიზანმიმართული სწავლა,
- მრავალფეროვანი კონტექსტი,
- სწავლებისა და სწავლის ალტერნატიული/დამატებითი სტილი,
- შედეგებისა და ხარისხის ნაკლებად განვითარებული აღიარება.

წყარო: ევროპის საბჭოს სიმპოზიუმი არაფორმალური განათლების შესახებ: ანგარიში (2001).

სიმპოზიუმმა გამოიწვია გარკვეული დაპირისპირება ფორმალურ და არაფორმალურ სწავლებას შორის და აღინიშნა, რომ: „მათი შესაბამისი მახასიათებლები ერთმანეთს ფარავს იმ ცენტრისკენ, რომელიც საბოლოოდ არის სასწავლო კონტექსტების, შინაარსისა და მეთოდების უწყვეტობა“ (Chisholm, 2001, გვ. 62).

პირველმა სიმპოზიუმმა, ასევე, აღნიშნა ტერმინოლოგიური ცვლილება ახალგაზრდულ სექტორში. სათაურში გამოყენებული იყო სიტყვა „განათლება“, ხოლო ანგარიშ-

ში – ტერმინი „სწავლა“, როგორც ალტერნატივა, იმ ამრის მხარდასაჭერად, რომ ეს ტერმინი ყურადღებას ამახვილებდა აქტივობებზე და არა სისტემებზე, ხოლო ხალხის ცენტრალურ საზრუნავად განხილვით, უფრო ახლოს იყო მოსწავლეზე ორიენტირებულობის დასაბუთებასა და ღირებულებასთან, არაფორმალური სწავლის კონტექსტში.

სიმპოზიუმის შემდეგ თანდათან შეიცვალა დისკურსი და არაფორმალური სწავლების გაგება. მანამდე, 1974 წელს, კუმბსისა და აჰმედის მიერ იგი განისაზღვრა, როგორც „ნებისმიერი ორგანიზებული, სისტემატური საგანმანათლებლო საქმიანობა, რომელიც ხორციელდება ფორმალური სისტემის ჩარჩოებს მიღმა“. სიმპოზიუმის შემდეგ იგი განისაზღვრა, როგორც ისეთი სასწავლო სიტუაციები, რომლებიც უწყვეტი სასწავლო პროცესის შემადგენელი ნაწილია და სტრუქტურირებულია მრავალ განზომილებაში სწავლის ფორმალურ, არაფორმალურ და ფორმალური სასწავლო გარემოდან განსხვავებულ გარემოში მიღებულ სწავლას შორის.

არაფორმალური სწავლის აუცილებელი მახასიათებლები და ძირითადი მეთოდები

ანგარიშიში „არაფორმალურობა და ფორმალურობა სწავლაში“³, ჰელენ კოლიმ, ფილ ჰოდკინსონმა და ჯენის მალკოლმმა გააანალიზეს სწავლის პროცესში ფორმალურობისა და არაფორმალურობის ასპექტები, არსი, პარამეტრები, მიზნები და შინაარსი – და გამოვიდა 20 კრიტერიუმისგან შემდგარი სია, რომლის მიზანია სასწავლო სიტუაციების არაფორმალურ და ფორმალურ კომპონენტებს შორის რთული კავშირის დაფიქსირება.

თავდაპირველი დისკუსიების საფუძველზე, გამოიკვეთა არაფორმალური სწავლების ძირითადი მახასიათებლები:

არაფორმალური სწავლების ძირითადი მახასიათებლები

- დაბალანსებული თანაარსებობა და ურთიერთქმედება სწავლის კოგნიტურ, აფექტურ და პრაქტიკულ განზომილებებს შორის;
- ინდივიდუალური და სოციალური სწავლების დაკავშირება, პარტნიორობაზე ორიენტირებული სოლიდარული და სიმეტრიული სწავლება/სწავლის ურთიერთობები;
- მონაწილეობითი და მოსწავლეზე ორიენტირებული;
- ჰოლისტური და პროცესზე ორიენტირებული;
- რეალურ ცხოვრებისეულ საკითხებთან ახლოს, ექსპერიმენტული და სწავლაზე ორიენტირებული, ინტერკულტურული გაცვლისა და შეხვედრების გამოყენება, როგორც სასწავლო ხელსაწყოები;
- ნებაყოფლობითი და (იდეალურად) ღია წვდომა;
- უპირველეს ყოვლისა, მიზნად ისახავს, გადმოსცეს და გამოიყენოს დემოკრატიული ცხოვრების ღირებულებები და უნარები.

წყარო: ევროპის საბჭოს სიმპოზიუმი არაფორმალური განათლების შესახებ: ანგარიში (2001).

ეს მახასიათებლები ხაზს უსვამს სწავლის პირობებს, რომლებსაც შეიძლება სხვადასხვა დანიშნულება ჰქონდეს და ძალიან განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან, იმის საჩვენებლად, რომ ახალგაზრდულ სექტორში მომუშავე ადამიანებს ესმით არაფორმალური სწავლება, როგორც პრაქტიკაში და შესაბამის კონტექსტში მყარად ფესვგადგმული მიდგომა, რაც ასახავს არაფორმალური მეთოდების პალიტრას, როგორც ქვემოთაა მოცემული:

არაფორმალური სწავლების/ტრენინგისა და სწავლის მეთოდები

- კომუნიკაციაზე დაფუძნებული მეთოდები: ინტერაქცია, დიალოგი, მედიაცია;
- აქტივობაზე დაფუძნებული მეთოდები: გამოცდილება, პრაქტიკა, ექსპერიმენტი;
- სოციალურზე ორიენტირებული მეთოდები: პარტნიორობა, გუნდური მუშაობა, მოკავშირეობა;
- თვითმართვადი მეთოდები: კრეატიულობა, აღმოჩენა, პასუხისმგებლობა.

წყარო: ევროპის საბჭოს სიმპოზიუმი არაფორმალური განათლების შესახებ: ანგარიში (2001).

ჩამოყალიბდა კრიტერიუმები, ხელშესახები კითხვები, როგორც სექტორის მცდელობა, გააანალიზოს და დაგვანახოს საგანმანათლებლო აქტივობა ან პროგრამა იმ თვალსაზრისით, თუ რა პოზიცია უჭირავს მას სწავლის პროცესში—ფორმალურია, არაფორმალური თუ ფორმალური სასწავლო გარემოსგან განსხვავებულ გარემოში მიღებული. ბევრი სისტემისთვის ჯერ კიდევ გასარკვევია, სად არის არაფორმალური განათლების ადგილი, რომელიც პიტერ ლაურიცენმა ერთხელ ასე აღწერა: „ჩართულობა უნდა ისწავლებოდეს ისევე, როგორც დემოკრატიული კულტურა და უმცირესობების მიღება. სწავლა, ცხოვრებისეული უნარების შეძენა, სოციალური კვალიფიკაციის შესაბამისად ინდივიდუალური კვალიფიკაციის განვითარება, ინტერესების დაცვა, კონკრეტული დღის წესრიგის დაცვა და კოალიციებისა და გუნდების შექმნა — ეს ყველაფერი ქმნის არაფორმალური განათლების სასწავლო გეგმას“ (The Making of the European Citizen, Handbook of Applied Development Sciences, Vol. 3, p. 366).

არაფორმალური განათლება და სწავლის პრაქტიკა

ევროპის ახალგაზრდული ცენტრების შექმნიდან 40 წლის განმავლობაში ორი საგანმანათლებლო ცენტრის პროგრამაში დომინირებდა სასწავლო სესიები, საერთაშორისო ტრენინგები და დებატების სემინარები ახალგაზრდებისთვის მოთხოვნილი და თანაორგანიზებული ახალგაზრდული ასოციაციების მიერ, რომელთა მიზანია ტრანსნაციონალური ევროპული ახალგაზრდული სტრუქტურების გაძლიერება. ეს აქტივობები ეფუძნებოდა არაფორმალური განათლების მეთოდოლოგიას, თუმცა თავიდან ასე არ მოიხსენიებოდა.

პირველი სასწავლო კურსები 1980-იან წლებში დაიწერა საბჭოს ახალგაზრდუ-

ლი სექტორის პროგრამებში, რომლებიც მკაფიოდ იყო გამოცხადებული, როგორც საგანმანათლებლო საქმიანობა, ამასთან, გარკვეული წინააღმდეგობებით, რადგან ისინი, როგორც ჩანს, უპირისპირდებოდნენ ახალგაზრდული მოძრაობებისა და ორგანიზაციების პოლიტიკურ მისწრაფებებს.

ბოლო წლებში, განსაკუთრებით ევროკავშირთან გაზრდილი თანამშრომლობის შედეგად, პროგრამის პრიორიტეტები მოკლე და გრძელვადიანი სასწავლო კურსების რაოდენობრივი ზრდისკენ გადაიხარა ახალგაზრდობის სექტორში მომუშავე ადმინისტრაციული, პოლიტიკის შემმუშავებელი, პოლიტიკური და პედაგოგიური შესაძლებლობების მქონე პირებისთვის.

დოკუმენტები, მოხსენებები, ჟურნალები, კვლევითი სემინარები და ლიტერატურა

არაფორმალური განათლების მრავალი აქტივობის შედეგად მიღებული გამოცდილება რეგულარულად არის დოკუმენტირებული და ასახული სხვადასხვა პუბლიკაციაში, მათ შორის:

- “Forum 21” — ევროპული ჟურნალი ბავშვთა და ახალგაზრდობის პოლიტიკის შესახებ და ევროპული ჟურნალი ბავშვთა და ახალგაზრდობის კვლევის შესახებ; მაგალითისთვის, წვლილი აქვს შეტანილი არაფორმალური სწავლის აღიარების პოლიტიკაზე ჟურნალის მე-14 გამოცემაში (2009);
- “Coyote” — ახალგაზრდული სექტორის ჟურნალი, გამოცემული „ახალგაზრდული პარტნიორობის“ მიერ, მე-3 (2000) და 11 (2006) ნომრებით, რომელიც კონკრეტულად ფოკუსირებულია არაფორმალურ სწავლასა და განათლებაზე;
- ტრენინგების ნაკრები, გამოქვეყნებული „ახალგაზრდული პარტნიორობის“ მიერ, როგორცაა “T-Kit N° 4 Intercultural

1974 წელს, კუმბისა და აპელდის მიერ იგი განისაზღვრა, როგორც „ნებისმიერი ორგანიზებული, სისტემატური საგანმანათლებლო საქმიანობა, რომელიც ხორციელდება ფორმალური სისტემის ჩარჩოებს მიღმა“.

» ისეთი სასწავლო
სიტუაციები,
რომლებიც უწყვეტი
სასწავლო პროცესის
შემაღწეველი ნაწილია
და სტრუქტურირებულია
პრაქტიკულ განხორციელებად
სწავლის ფორმალურ,
არაფორმალურ და
ფორმალური სასწავლო
გარემოდან განსხვავებულ
გარემოში მიღებულ
სწავლას ფორმის.

Learning” და “T-Kit N° 6 Training Essentials”;

- წიგნები, განსაკუთრებით 2005 წლის “Trading up – პოტენციალი და ეფექტურობა არაფორმალურ სწავლაში (იგი კვლევითი სემინარის შედეგია, სახელად, „ახალგაზრდული სექტორი და არაფორმალური განათლება/სწავლა: მუშაობა, რათა მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლა გახდეს რეალობა და წვლილი იქნეს შეტანილი მესამე სექტორში”, 2004 წლის 28-30 აპრილი, სტრასბურგის ევროპის ახალგაზრდული ცენტრი) და 2011 წლის „ინტერკულტურული სწავლება არაფორმალურ განათლებაში“, ეს უკანასკნელი განსაკუთრებულად ფოკუსირებულია არაფორმალურ განათლებასა და კულტურათაშორის დიალოგზე ევრო-ხმელთაშუა ზღვის კონტექსტში.

ხარისხის სტანდარტები არაფორმალურ განათლებაში

გარდა ამისა, ევროპის საბჭოს განათლებისა და ტრენინგების აქტივობების ხარისხის სტანდარტები მოპოვებული იქნა არაფორმალური განათლების საქმიანობის ათწლეულის გამოცდილებიდან. სტანდარტები გაწერილია სპეციალურ დოკუმენტში, როგორც მითითება ყველა იმპირისთვის, ვინც ჩართულია დაინტერესებულია ევროპის საბჭოს განათლებისა და ტრენინგების საქმიანობით და, ამასთან, იგი ე.წ. ევროპის საბჭოს ვალდებულებაა ახალგაზრდების განათლებისა და ტრენინგების აქტივობებთან დაკავშირებით.

ხარისხის ეს სტანდარტებია:

1. შესაბამისი საჭიროებების შეფასება. აქტივობების დაფუძნება ევროპის საბჭოსა და მისი პარტნიორების მკაფიო მოლოდინებზე და პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ და საგანმანათ-

ლებლო რეალობაზე, რასაც აუცილებლად უნდა მიმართონ, რათა უზრუნველყოფილ იქნეს აქტივობების რელევანტურობა, შედეგების მდგრადობა და მოლოდინების შესრულება მათთვის, ვინც ჩართულია ამ ყველაფერში.

2. კონკრეტული, მისაღწევი და გაზომვადი მიზნები. თითოეულ საქმიანობას, გარდასაერთო მიზნებისა, რომლებიც მომდინარეობს საჭიროებების ანალიზიდან (პოლიტიკური და კულტურული განზომილების ჩათვლით), ყოველთვის უნდა ჰქონდეს კონკრეტული საგანმანათლებლო და სოციალური მიზნები, რომლებიც საშუალებას იძლევა, შემუშავდეს ადეკვატური პროგრამა, მოხდეს შესაფერისი სამიზნე ჯგუფების იდენტიფიცირება და დასაქმება, წარიმართოს ადეკვატური შეფასების პროცესი და შენარჩუნდეს თანმიმდევრულობა შემდგომი დაკვირვებისთვის.

3. მონაწილეთათვის მიმართული კომპეტენციებისა და სწავლის შედეგების განსაზღვრა. აქტივობებს უნდა ჰქონდეს მკაფიო, იმპლიციტური ან ექსპლიციტური კომპეტენციები (ცოდნის, უნარების, დამოკიდებულებების და ღირებულებების ტრიადში), რომლებიც უნდა განიხილებოდეს და ვითარდებოდეს მონაწილეებთან ერთად და მონაწილეების მიერ.

4. ევროპის საბჭოს პროგრამასთან და პრიორიტეტებთან შესაბამისობა. აქტივობები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეფუძნება მონაწილეობის შესახებ ღია მოწოდებებს, წარმოადგენს ევროპის საბჭოს პრიორიტეტებისა და საქმიანობის პროგრამის გაცნობისა და მის სამიზნე ჯგუფებისთვის ხელმისაწვდომ საშუალებას. ცხადია, ეს არის გზა, რომლითაც ახალგაზრდულ სექტორში ევროპის საბჭო ახორციელებს თავის გრძელვადიან და წლიურ მიზნებს.

5. ადეკვატური და დროული მომზადების პროცესი. წარმატებული აქტივობა დიდ-წილად დამოკიდებულია დროულ, საფუძვლიან და სრულ მოსამზადებელ პროცესზე, რომელშიც განიხილება საქმიანობის ყველა ძირითადი ასპექტი. ეს განსაკუთრებით ეხება კულტურათაშორისი განზომილების მქონე აქტივობებს, სადაც კომუნიკაციისა და თანამშრომლობის კულტურის განვითარება განსაკუთრებული საჭიროებაა.
6. ტრენერების კომპეტენტური გუნდი. ყველა საგანმანათლებლო შეთავაზება უნდა განხორციელდეს ტრენერებისა და ფასილიტატორების მრავალფეროვანი, დამატებითი როლებითა და კომპეტენციებით აღჭურვილი გუნდების მიერ, რომლებიც დაკომპლექტებულნი არიან გამჭვირვალე პროცესის შედეგად და ანგარიშვალდებულნი არიან ყველა დაინტერესებული პირის წინაშე.
7. კულტურათაშორისი სწავლების ინტეგრირებული მიდგომა. ინტერკულტურული სწავლება ახალგაზრდული სექტორის საგანმანათლებლო ფილოსოფიისა და პრაქტიკის ერთ-ერთი საფუძველია. ინტერკულტურული სწავლება უნდა იყოს არაფორმალური განათლებისა და ტრენინგის პროგრამის ნაწილი და ცნობილი უნდა იყოს აქტივობებისთვის გამოყენებული მეთოდოლოგია.
8. მონაწილეთა ადეკვატური დაკომპლექტება და შერჩევა. მონაწილეთა შერჩევა უნდა განხორციელდეს ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს გამჭვირვალობა, ობიექტურობა და თანაბარი შესაძლებლობები ყველა მსურველისთვის.
9. არაფორმალური განათლების პრინციპებისა და მიდგომების თანმიმდევრული გამოყენება. ყველა აქტივობა პატივს სცემს და ავითარებს არაფორმალური განათლების საყოველთაოდ მიღებულ პედაგოგიურ პრინციპებს, განსაკუთ-

რებით მონაწილეზე ორიენტირებულ, მოქმედებაზე ორიენტირებულ და ღირებულებებზე დაფუძნებულ პრინციპებს.

10. ადეკვატური, ხელმისაწვდომი და დროული დოკუმენტაცია. ყველა აქტივობა უნდა იყოს დოკუმენტირებული, განსაკუთრებით შედეგებთან დაკავშირებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს მონაწილეთა მიერ მათი თვალყურის დევნება. ამასთან, ამ ყოველივეს დადებითი გავლენა უნდა ჰქონდეს სხვა აქტივობებსა და ორგანიზაციებზე.
11. შეფასების საფუძვლიანი და ღია პროცესი. აქტივობების ადეკვატური შეფასება გადამწყვეტია, რათა უზრუნველყოს, სხვა საკითხებთან ერთად, შედეგების აღრიცხვა, სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასება და საჭირო შემდგომი დაკვირვება.
12. სტრუქტურულად ოპტიმალური სამუშაო პირობები და გარემო. სამუშაო პირობები და გარემო, რომელშიც აქტივობები ტარდება, გადამწყვეტ როლს თამაშობს მათ წარმატებაში. როგორც ზოგადი პრინციპი, საქმიანობის წარმატება არასოდეს არ უნდა იყოს განპირობებული სამუშაო პირობებითა და საშუალებებით.
13. ადეკვატური ინსტიტუციური მხარდაჭერა. თითოეულ საქმიანობას უნდა ჰქონდეს ადმინისტრაციული და ინსტიტუციური მხარდაჭერა და აღიარება ორგანიზაციის მხრიდან.
14. ხილვადობა, ინოვაცია და კვლევა. ხილვადობა არის საქმიანობის ღირებულების აღიარება, მისი სიცოცხლისუნარიანობის პირობა და გამჭვირვალობის გარანტია. ინოვაცია და კვლევა უზრუნველყოფს ხარისხის განვითარებას და პასუხობს მუდმივად ცვალებადი საზოგადოებისა და ახალგაზრდული სცენის საჭიროებებს.

„მათი შესაგამისი

გახასიათებლები

ერთგანათს ფარავს იმ

ცენსებისკენ, რომელიც

საგოლოლოდ არის

სასწავლო კონსტრუქციის,

შინაარსისა და

გეთოდების უწყვეტობა“



» **სწავლა, სხოპრაპისეული
უნარების შექმნა,
სოციალური
კვალიფიკაციის
შესაბამისად
ინდივიდუალური
კვალიფიკაციის
განვითარება,
ინტერესების დაცვა,
კონკრეტული დღის
წესრიგის დაცვა და
კოალიციებისა და
გუნდების შექმნა – ეს
ყველაფერი ქმნის
არაფორმალური
განათლების სასწავლო
გვერდს“**

2011 წელს კიდევ ერთი სიმპოზიუმი ჩატარდა ამ მიმართულებით, ახალგაზრდული მუშაობისა და არაფორმალური სწავლის აღიარების შესახებ, კვლავ მთელი ახალგაზრდული სექტორის წარმომადგენლების ჩართულობით (და მისი წინამორბედის მიღწევებზე დაყრდნობით, დისკრიპტული კრიტერიუმების განვითარებისთვის ანალიტიკური სამუშაოს შემუშავებით, ისევე, როგორც “Pathways 2.0” დოკუმენტშია სტრატეგიები ასახული).

სიმპოზიუმზე მიღებულ იქნა დეკლარაცია, რათა დაწყებულიყო საერთო ევროპული პოლიტიკური პროცესი ახალგაზრდული მუშაობისა და არაფორმალური სწავლის აღიარების მიმართულებით, რომელსაც სტრასბურგის პროცესი უწოდეს. ეს ყოველივე დაიწყო მიმდინარე ვითარებაზე დაგამოწვევებზე დისკუსიებისა და რეფლექსიების წარმოებით, რომლებიც დაკავშირებული იყო ახალგაზრდული მუშაობისა და არაფორმალური სწავლის აღიარებასთან, სიმპოზიუმამდე მიმავალი ეტაპების საერთო გაგებითა და საერთო ხედვით იმის შესახებ, თუ რა უნდა მიღწეულიყო შუა პერიოდსა და გრძელვადიან პერსპექტივაში.

ბევრი მონაწილე თვლიდა, რომ პროცესი დიდი ხანია დაგვიანებული იყო, რადგან 2003 წელს უკვე დაფიქსირდა კვლევა ფორმალური და არაფორმალური განათლების კავშირების შესახებ: „პირველად ევროპის განათლების ისტორიაში, არაფორმალური განათლება გამოდის ახალგაზრდა თაობის მომავლისთვის ბღვრული რეფლექსიური ბის ჩრდილიდან და სწავლის ცენტრალური მნიშვნელობის მხარეს გადადის, როგორც ადამიანებისთვის ამჟამად ყველაზე მნიშვნელოვანი საქმიანობა. არაფორმალური განათლების გამოყენება ბევრად უფრო ფართო საზოგადოებისთვის, ვიდრე მობრდილები არიან, რომლებიც იყენებდნენ არაფორმალურ განათლებას ძირითადად

წარსულში გაშვებული საგანმანათლებლო შანსების კომპენსაციის მიზნით, არ უნდა იყოს ამ სფეროში გაგებული მხოლოდ და მხოლოდ ერთ ცალკე აღებულ ღონისძიებად ამდენ ღირებულ ღონისძიებას შორის ახალგაზრდების კეთილდღეობისა და ახალგაზრდული პოლიტიკის შესახებ, არამედ, იგი გაგებული უნდა იყოს, როგორც განვითარების ნაწილი, რომელიც ცვლის სწავლის, როგორც ადამიანის საქმიანობის კონცეფციას და განათლებას, როგორც მის საზოგადოებრივ ორგანიზაციას. ეს ცვლილებები შეუქცევადია და, შესაბამისად, ყურადღებით უნდა იქნას გაანალიზებული, რათა მომავლისთვის ჯანსაღი საგანმანათლებლო პოლიტიკა შემუშავდეს“.

(Du Bois-Raymond, 2003, p. 7)

დეკლარაცია მიემართებოდა: ევროპულ ინსტიტუტებს, ახალგაზრდობასა და განათლებაზე პასუხისმგებელ სამინისტროებს, ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდებთან დაკავშირებულ სტრუქტურებს, ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, ახალგაზრდული სამუშაოს პრაქტიკოსებს, ახალგაზრდებს, განათლების მიმწოდებლებსა და კვლევით საზოგადოებას. იგი განსაზღვრავს რვა გამოწვევას, კერძოდ:

1. ახალგაზრდული სამუშაოსა და არაფორმალური სწავლის ან განათლების კონცეფციის უკეთ გაგებას;
2. ბალანსის დაცვას აღიარების სხვადასხვა დონეს შორის;
3. არაფორმალური სწავლის/განათლების ფორმალიზაციის რისკიანობას;
4. ახალგაზრდების სამუშაოსა და არაფორმალური სწავლის/განათლების ხარისხის უზრუნველყოფას;
5. მრავალფეროვნების შენარჩუნებასა და კულტივირებას;
6. ცოდნის აგებას;

7. სხვა სექტორებზე დამოკიდებულებას;
8. კავშირების დამყარებას.

ამ გამოწვევების საპასუხოდ, შემუშავდა შვიდი რეკომენდაცია, რომელიც აყალიბებს და წარმართავს სტრატეგიებს არაფორმალური განათლების აღიარებისა და დადასტურებისთვის.

1. აღიარებისა და დადასტურების პოლიტიკური პროცესის დაწყება. ახალგაზრდული სამუშაოსა და არაფორმალური სწავლის/განათლების ახალგაზრდული სექტორის უკეთ აღიარებისა და დადასტურების პოლიტიკური პროცესი უნდა გაძლიერდეს ერთობლივი სტრატეგიით, სახელწოდებით – სტრასბურგის პროცესი.
2. ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე გასვლა. ახალგაზრდების შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად, ახალგაზრდების სექტორში სწავლის შედეგების ხილვადობის გასაუმჯობესებლად, ევროპულ დებატებს ახალგაზრდულ სექტორში არაფორმალური სწავლის აღიარების შემდგომი განვითარების შესახებ ეროვნულ, რეგიონულ და, განსაკუთრებით, ადგილობრივ დონეზე, უნდა ჰქონდეს რეალური შედეგი.
3. არაფორმალური სწავლების ხილვადობა. ახალგაზრდულმა ორგანიზაციებმა და ახალგაზრდული მუშაობის სხვა პროვაიდერებმა სწავლება, რომელიც მათ პროგრამებში მიმდინარეობს, ხილული უნდა გახადონ. ნდობისა და სანდოობის გასაზრდელად, ახალგაზრდულმა სექტორმა უნდა გაამახვილოს ყურადღება შესაბამისი საქმიანობის პოზიტიურ შედეგსა და გავლენაზე.
4. განათლებისადმი ჰოლისტური მიდგომის მხარდაჭერა. არაფორმალური სწავლა/განათლება უნდა იყოს აღი-

არებული, როგორც პროცესი, რომელიც ახალგაზრდებს მისცემს შანსს, განავითარონ ის კომპეტენციები, რომლებიც ავსებენ ფორმალური განათლების შედეგად მიღებულ კომპეტენციებს.

5. ცოდნის აგება და მიწოდება. ახალგაზრდული მუშაობისა და არაფორმალური სწავლის/განათლების უწყვეტი პრაქტიკული და თეორიული განვითარება ახალგაზრდულ სექტორში აუცილებელია მისი შესაძლებლობებისა და აღიარების გასაძლიერებლად.

6. დიალოგის გაძლიერება განათლების სხვა სფეროებთან. ახალგაზრდულ სამუშაოს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ფარგლებში, თავისი ადგილი უჭირავს; ამიტომ დიალოგი სხვა საგანმანათლებლო სფეროებთან უნდა გაძლიერდეს. ეს პარტნიორობა უნდა შედგეს განათლების მიმწოდებლებს შორის და უზრუნველყოს სასწავლო მობილობა სხვადასხვა სექტორს შორის.

7. კავშირების დამყარება განათლების მიღმა. სტრატეგიული პარტნიორობა, ისევე, როგორც უფრო ეფექტური საკომუნიკაციო არხები, უნდა დამყარდეს ახალგაზრდულ სექტორსა და სოციალურ თუ სხვა დაკავშირებულ სფეროებს შორის, თანამშრომლობისა და თანმიმდევრობის გაზრდის მიზნით.

ასევე, შემუშავდა სამოქმედო გეგმა, რომელიც ემყარება შვიდ რეკომენდაციას, სადაც დეტალურადაა აღწერილი, რომ სტრასბურგის პროცესი (რომელიც აღწერილია, როგორც პოლიტიკური პროცესი და შედარებულია ბოლონიის პროცესთან უმაღლეს განათლებაში) უნდა ეფუძნებოდეს მტკიცებულებებს და ეხებოდეს შემდეგს:

- ახალგაზრდული სამუშაოსა და არაფორმალური სწავლის/განათლების

არაფორმალური განათლების გამოყენება გეგმად უფრო ფართო საზოგადოებისთვის, ვიდრე მოზარდობაში არიან, რომლებიც იყენებდნენ არაფორმალურ განათლებას ძირითადად წარსულში გაშვებული საგანმანათლებლო შენსების კომპენსაციის მიზნით, არ უნდა იყოს ამ სფეროში გაშვებული გზოვად და გზოვად ერთ ცალკე ალბულ ღონისძიებად აგდენ ღირებულ ღონისძიებას შორის ახალგაზრდების კეთილდღეობისა და ახალგაზრდული პოლიტიკის შესახებ, არაგედ, იგი გაშვებული უნდა იყოს, რომორც განვითარების ნაწილი, რომელიც ცვლის სწავლის, რომორც ადამიანის საქმიანობის კონსეფციას და განათლებას, რომორც მის საზოგადოებრივ ორგანიზაციას. ეს ცვლილებები შეუძლებელია და, შესაბამისად, ყურადღებით უნდა იქნას გაანალიზებული, რათა მოგავლისთვის ჯანსაღი საგანმანათლებლო პოლიტიკა შეუშავდეს.”



შენიშვნები

- ¹ როგორც 2004 წლის დეკემბერში პიტერ ლაური-ცენმა მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის, არაფორმალური სწავლისა და მოქალაქეობის შესახებ სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა: „დღესდღეობით, ჩვენ განვიხილავთ იმავე თემებს, როგორც ამას სამი ათეული წლის წინ ვაკეთებდით, თუმცა ენა შეცვალა.“ (Eggs in a pan, p.64)
- ² ახალგაზრდულ სექტორში განათლების, ტრენინგისა და სწავლის ვალიდაციისა და აღიარებისთვის საჭირო გზები (2004); ევროპაში არაფორმალური სწავლის/განათლებისა და ახალგაზრდული სამუშაოს აღიარების-თვის საჭირო გზები 2.0 (2011).
- ³ „სწავლისა და უნარების კვლევის ცენტრის“ მიერ 2003 წელს გამოქვეყნებული მოხსენება/ანგარიში.

აღიარება ახალგაზრდულ სექტორში ევროპული თანამშრომლობის პრიორიტეტია, როგორც ევროკავშირში, ასევე, ევროსაბჭოში;

- იმნიშვნელოვანისფეროებისაღიარება, რომლებიც პროცესის პოლიტიკური ბირთვი უნდა გახდეს;

- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებულ საკანონმდებლო ტექსტზე მუშაობის დაწყება, მათ შორის, სტრასბურგის პროცესისა და ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების მოწვევა, რათა წახალისდეს კონკრეტული ზომების მიღება ახალგაზრდული სამუშაოსა და არაფორმალური სწავლის/განათლების აღიარების გასაძლიერებლად ახალგაზრდულ სექტორში ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე;

- სამართლებრივი ტექსტის შემუშავების ინიციატივის აქტიური მხარდაჭერა ექსპერტიზის გაზიარებისა და კავშირების შექმნის გზით, სხვა შესაბამის

ევროპულ სტრუქტურებთან, მაგალითად, ევროპარლამენტთან, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეასთან, ევროპის ეკონომიკურ და სოციალურ კომიტეტთან, რეგიონების კომიტეტთან;

- ერთობლივი ევროპული ჩარჩოს შემუშავება ახალგაზრდული სამუშაოსა და არაფორმალური სწავლის/განათლების აღიარების შესახებ ახალგაზრდულ სექტორში;

- ახალგაზრდების სამუშაოსთან და არაფორმალურ სწავლასთან/განათლებასთან დაკავშირებული სამართლებრივი სტრუქტურების თავსებადობის უზრუნველყოფა ახალგაზრდულ სექტორში, განსაკუთრებით, ახალგაზრდა მუშაკების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, ახალგაზრდების სექტორში მუშაკთა მობილობის გაზრდის მიზნით;

- ახალგაზრდული სამუშაოსა და არაფორმალური სწავლის/განათლების აღიარების ეროვნული და ადგილობრივი პოლიტიკის შემუშავების ხელშეწყობა;

- სტრასბურგის პროცესის მონიტორინგის უზრუნველყოფა.

არაფორმალური განათლების სამოქმედო გეგმა, ასევე, მოითხოვს ერთობლივ აქტივობებს, მათ შორის, მკვლევარებს, პოლიტიკის შემქმნელებს, ახალგაზრდულ მუშაკებსა და სოციალურ პარტნიორებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას ახალგაზრდული სექტორის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ. ამასთან, ევროპული სარეკლამო კამპანიის აქტივობების წამოწევა, მათ შორის, არაფორმალური სწავლის/განათლების აღიარების ევროპული დღეებისა, რაც თითოეული ქვეყნისთვის, შესაძლოა, განსხვავებულ გამოცდილებასა და პერსპექტივებს ქმნიდეს.

არაფორმალური განათლების შესახებ ევროპის საბჭოს
მინი კომპაქტისთვის მომზადებული ანგარიში კვლავს შენახსი,
მოამზადა გვანსა სოკრუპევილიმა

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა – რეკომენდაცია 1437 (2000)1

არაფორმალური განათლება



1. ასამბლეა აღიარებს, რომ განათლებაში ინვესტიცია და კეთილდღეობა არის ეფექტური ღონისძიება აქტიური მოქალაქეობის ხელშეწყობისა და სოციალური გარიყულობის პრევენციისთვის.
2. ასამბლეა აცნობიერებს, რომ მხოლოდ ფორმალური საგანმანათლებლო სისტემები ვერ უპასუხებენ სწრაფ და მუდმივ ტექნოლოგიურ, სოციალურ და ეკონომიკურ ცვლილებებს საზოგადოებაში და რომ ისინი უნდა გაძლიერდეს არაფორმალური საგანმანათლებლო პრაქტიკის მეშვეობით.
3. არაფორმალური განათლება უწყვეტი სწავლის კონცეფციის განუყოფელი ნაწილია, რომელიც საშუალებას აძლევს ახალგაზრდებს და მოზარდებს, შეიძინონ და შეინარჩუნონ ის უნარ-ჩვევები, შესაძლებლობები და მსოფლმხედველობა, რომლებიც საჭიროა მუდმივად ცვალებად გარემოსთან ადაპტაციისთვის. მისი შეძენა შესაძლებელია თითოეული ინდივიდის პირადი ინიციატივით, სხვადასხვა სასწავლო აქტივობით, რომელიც ხორციელდება ფორმალური საგანმანათლებლო გარემოსგან დამოუკიდებლად. არაფორმალური განათლების მნიშვნელოვანი ნაწილი ხორციელდება საზოგადოებრივ და ახალგაზრ-

- დულ საქმიანობაში ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ.
4. ასამბლეა ითვალისწინებს ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე ევროპელი მინისტრების მე-5 კონფერენციაზე მიღებულ საბოლოო დეკლარაციას, რომელშიც ევროპის ქვეყნები წახალისებულნი იყვნენ, ხელი შეუწყონ შესაძლებლობების თანასწორობას ტრენინგებისა და უნარ-ჩვევების აღიარებით, რომლებიც შეძენილია არაფორმალური განათლების დროს და ამ გზით შეძენილი გამოცდილებისა და კვალიფიკაციის დამტკიცების სხვადასხვა გზის მოქმედებით. იგი მიესალმება „არაფორმალური განათლების სამუშაო ჯგუფი“-ს შექმნას ევროპის საბჭოში.
5. ასამბლეა მოუწოდებს ყველას, ვინც აყალიბებს საგანმანათლებლო პოლიტიკას, აღიაროს, რომ არაფორმალური განათლება საგანმანათლებლო პროცესის არსებითი ნაწილია და გააცნობიეროს ის წვლილი, რაც შეიძლება შეიტანონ არაფორმალური განათლების სფეროში ჩართულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა.
6. ასამბლეა, ასევე, ხელს უწყობს ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების არაფორმალურ განათლებაში გამოყე-

გმოლდ ფორმალური საგანმანათლებლო სისტემაში ვერ უპასუხებენ სწრაფ და მუდმივ ტექნოლოგიურ, სოციალურ და ეკონომიკურ ცვლილებებს საზოგადოებაში და რომ ისინი უნდა გაძლიერდეს არაფორმალური საგანმანათლებლო პრაქტიკის მეშვეობით.



აუსილუველი განგაჩტაქეპი არაფორმალური განათლების მიგარტულაქი

ეკოპაპური სარტოს რეკომენდაციების მიხედვით

„ფორმალური განათლება“ ნიშნავს განათლებას, რომელიც მიმდინარეობს ორგანიზებულ და სტრუქტურირებულ, სწავლისთვის სპეციალურად მიძღვნილ გარემოში და, როგორც წესი, მოიაზრებს კვალიფიკაციის მინიჭებას, სერტიფიკატის ან დიპლომის სახით; იგი მოიცავს ზოგადი განათლების, პროფესიული განათლებისა და უმაღლესი განათლების სისტემებს.

„ფორმალური სასწავლო გარემოდან განსხვავებულ გარემოში მიღებული განათლება“ ნიშნავს განათლებას, რომელიც მიმდინარეობს დაგეგმილი აქტივობებით (სასწავლო მიზნების, სწავლის დროის თვალსაზრისით), სადაც არსებობს სწავლის მხარდაჭერის გარკვეული ფორმა (მაგ. მოსწავლე-მასწავლებელთა ურთიერთობა); ის შეიძლება მოიცავდეს პროგრამებს სამუშაო უნარ-ჩვევების, ბრდასრულთა წიგნიერების და საბაზისო განათლების მინიჭების მიზნით სკოლამდელი ასაკის მოსწავლეებისთვის; ფორმალური სასწავლო გარემოდან განსხვავებულ გარემოში მიღებული განათლების ძალიან გავრცელებული შემთხვევები მოიცავს კომპანიაში ტრენინგს, რომლის მეშვეობითაც კომპანიები განაახლებენ და აუქმობენ თავიანთი მუშაკების უნარებს, როგორებიცაა ICT უნარები, სტრუქტურირებული ონლაინ-სწავლება (მაგ. ღია საგანმანათლებლო რესურსების გამოყენებით) და კურსები, რომლებიც ორგანიზებულია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის, მათი წევრებისთვის, მათი სამიზნე ჯგუფისთვის ან ფართო საზოგადოებისთვის.

„არაფორმალური განათლება“ ნიშნავს განათლებას, რომელიც მიღებულია სამუშაოსთან, ოჯახთან ან დასვენებასთან დაკავშირებული ყოველდღიური აქტივობების შედეგად და არ არის ორგანიზებული ან სტრუქტურირებული მიზნების, დროის ან სწავლის მხარდაჭერის თვალსაზრისით; ეს შეიძლება იყოს არაწინასწარგანზრახული მოსწავლის პერსპექტივიდან; არაფორმალური განათლების შედეგად შეძენილი სწავლის შედეგების მაგალითებია ცხოვრებისეული და სამუშაო გამოცდილებით შეძენილი უნარები, სწავლის ფორმალური პროცესის პარალელურად ან სამსახურში შეძენილი პროექტის მართვის უნარები ან ICT უნარები, სხვა ქვეყანაში ყოფნის დროს შეძენილი ენები და ინტერკულტურული უნარები, სამუშაოს გარეთ შეძენილი ICT უნარები, მოხალისეობით შეძენილი უნარები, კულტურული აქტივობები, სპორტი, ახალგაზრდების სამუშაო და აქტივობები სახლში ან თემში.

მთავარი ტენდენციები

ნებას და მიუთითებს მათზე მარტივი წვდომის უზრუნველყოფის აუცილებლობაზე ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

7. ამიტომ სასამხლარო ეკომენდაციას უწევს მინისტრთა კომიტეტს, მოუწოდოს მთავრობებს და წევრი ქვეყნების შესაბამის ორგანოებს:

7.1. აღიარონ არაფორმალური განათლება, როგორც დე ფაქტო პარტნიორი უწყვეტი სწავლის პროცესისა და ახალგაზრდულ პოლიტიკაში და შემუშაონ მისი შეფასების ეფექტური სისტემები (ეს შეიძლება გაკეთდეს არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობების სერტიფიცირებით, რათა CV-ში მოხსენიებული იყოს, როგორც პროფესიული გამოცდილება და საერთაშორისოდ აღიარებული უნარები და კვალიფიკაციები). ხარისხის ნიშანი შეიძლება მიეცეს არაფორმალური განათლების მიმწოდებელ აღიარებული ორგანიზაციების საგანმანათლებლო საქმიანობას;

7.2. არაფორმალური განათლება ყველასთვის ხელმისაწვდომი რომ გახდეს, ისეთი ღონისძიებების საშუალებით, როგორიცაა მოქნილი სამუშაო პირობები (მუშაკებისთვის, რომლებიც სხვაგვარად ვერ შეძლებენ დასწრებას, შვებულება და ა.შ.), ღონისძიებები შორეულ რაიონებში მცხოვრებთათვის (სამოგზაურო გრანტები), ღონისძიებები სოციალურად დაუცველი პირებისთვის (ღარიბი ხალხი, მარგინალიზებული ახალგაზრდები, უმცირესობები);

7.3. უზრუნველყონ ან გააუმჯობესონ ტრენინგები და გადამზადება ტრენინგებისა და მასწავლებლებისთვის არაფორმალური განათლების საკითხებში,



არასამთავრობო ორგანიზაციებთან და, განსაკუთრებით, ახალგაზრდულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით;

- 7.4. არაფორმალური განათლების აქტივობების ფინანსური მხარდაჭერა (გრანტები, გადასახადების შემცირება არაფორმალური განათლების საქმიანობაში ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ან თითოეული მონაწილისთვის სასწავლო კურსებზე, ოფიციალური შენობების ან სასწავლო ცენტრების უფასო გამოყენება და ა.შ.) და არაფორმალური განათლების სახელმძღვანელოებისა და სასწავლო მასა-

ლების შემუშავება და გავრცელება; არაფორმალური განათლების მასალებისთვის ბიბლიოთეკის სერვისის შექმნა;

- 7.5. ზემოაღნიშნული ღონისძიებების პარალელურად, უზრუნველყონ მეტი ხალხის ჩართვა და წახალისება, კონკრეტულად ახალგაზრდების, რათა მიიღონ განათლება და იყვნენ განათლებულნი არაფორმალური გზით („თანატოლთა განათლება“);
- 7.6. ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელების მონიტორინგი.
8. ასამბლეა დამატებით რეკომენდაციას უწევს მინისტრთა კომიტეტს, ხელი შეუწყოს არაფორმალურ განათლებას

„ფორმალური განათლება“ ნიშნავს განათლებას, რომელის მიმდინარეობს ორგანიზებულ და სტრუქტურირებულ, სწავლისთვის სპეციალურად მიძღვნილ გარემოში და, რომლის წესი, მოთხოვნა კვალიფიკაციის მიანიჭებს, სერტიფიკატის ან დიპლომის სახით; იგი მოიცავს ზოგადი განათლებას, პროფესიული განათლებისა და უმაღლესი განათლების სისტემებს.





» „არაფორმალური განათლება“ ნიშნავს განათლებას, რომელიც მიღებულია საგუშაგოსთან, ოჯახთან ან დასვენებასთან დაკავშირებული ყოველდღიური აქტივობების შედეგად და არ არის ორგანიზებული ან სტრუქტურირებული მიზნების, დროის ან სწავლის მხარდაჭერის თვალსაზრისით.

ევროპის საბჭოს სამუშაო პროგრამაში, კერძოდ, ახალგაზრდულ სექტორში და, შესაბამისად:

- 8.1. შეისწავლოს, არის თუ არა რაიმე საკანონმდებლო შეზღუდვასხვადასხვა წევრ სახელმწიფოში, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს არაფორმალური განათლების განვითარებას და დაეხმაროს ამ შეზღუდვების აღმოფხვრაში;
- 8.2. შეადაროს სხვადასხვა წევრი ქვეყნის არაფორმალური განათლების აქტივობები და გამოაქვეყნოს კატალოგი „კარგი პრაქტიკის“ შესახებ;
- 8.3. არაფორმალური განათლების პროგრამების შემუშავებას, რომლებიც ხელს უწყობს თანაბარ შესაძლებლობებს, დაინტერესებულ სოციალურ პარტნიორებთან და აღნიშნულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით;

- 8.4. კოორდინაცია გაუწიოს არაფორმალური განათლების სფეროში მის მუშაობას ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან (OECD), იუნესკოსთან, ევროკავშირისა და გაეროს მოხალისეთა პროგრამასთან.

თარგმან თეონა სილაგაძე

სკოლის გართვის გასაუმჯობესებლად



გია გურულია



2021 წლის 1-ლი ოქტომბრიდან 30 ივნისის ჩათვლით, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერითა და დაფინანსებით (დემოკრატიის კომისიის მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში), რეალიზებული იქნა პროექტი „სკოლის მენეჯმენტის განვითარება საქართველოში“. პროექტი წარმოადგინა და განახორციელა საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციამ.

პროექტმა მთავარ მიზნად დაისახა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ეფექტური და ეფექტიანი მართვის სისტემის განვითარება საშუალო რგოლის გაძლიერებით, რომელშიც ვგულისხმობდით საგნობრივ კათედრასა და მის ხელმძღვანელს. ის ეფუძნებოდა წარმატებულ ევროპულ სკოლებში საგნობრივი ლიდერების (subject-leads) პრაქტიკას.

ჩვენმა ასოციაციამ კარგად გააცნობიერა, რომ განათლების რეფორმის ფუნდამენტური აკადემიური ამოცანები ვერაფრით გადაწყდებოდა საგნობრივი კათედრების არა მხოლოდ არსობრივი მონაწილეობის, არამედ მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების უფლების აქტუალიზების გარეშე.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ახალი ეროვნული სასწავლო გეგმისა და მიმდინარე სარეფორმო აქტივობათა

როგორც გააზრების, ისე მიღწევა/დანერგვის თვალსაზრისით, საგნობრივი კათედრის გაცნობიერებული ჩართულობისა და სხვა კათედრებთან თანამშრომლობა/კოორდინაციის მნიშვნელობის გადაჭარბება, რა თქმა უნდა, შეუძლებელია.

მხოლოდ სკოლის დირექტორი, სასწავლო ნაწილის გამგე ან ხარისხის მართვის მენეჯერი ვერ გასწვდებიან სრული აკადემიური სამუშაოს ვერც მოცულობასა და ვერც ხარისხს, ამდენად, სრულიად ნათელი იყო, რომ უნდა მოძებნილიყო მმართველობითი ბალანსი — უფლებათა და პასუხისმგებლობათა გონივრული გადანაწილებით.

სწორედ ამ საკითხისა თუ გამოწვევის თეორიული გააზრებისა და პრაქტიკული დამკვიდრების ამოცანის გადაწყვეტა დაისახა მიზნად ხსენებულმა პროგრამამ.

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელი იყო ყველა არსებული წანამძღვრის გაცნობიერება და გათვალისწინება. ამ მიმართულებით ვიგულისხმეთ:

- სკოლის მართვის ამჟამად არსებული ცენტრალიზებული (როგორც უფრო ზედა საფეხურზე, ისე, საკუთრივ, სკოლის დონეზე) მოდელი;
- ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა;

განათლების რეფორმის



ფუნდამენტური

აკადემიური

ამოცანები პერაფრით

გადაწყდებოდა

საგნობრივი კათედრების

არა მხოლოდ არსობრივი

მონაწილეობის, არამედ

გმართველობითი

გადაწყვეტილებების

მიღების უფლების

აქტუალიზების გარეშე.

» **მხოლოდ სკოლის
დირექტორი, სასწავლო
ნაწილის გამგე ან
ხარისხის გართვის
მენეჯერი ვერ
გასწავლიან სრული
აპადემიური სამუშაოს
ვერს მოხსნას და
ვერს ხარისხს, აქედან,
სრულიად ნათელი იყო,
როგ უნდა მოქმედიყო
გეგმვა-გეგმვა
გადაწყვეტილებით
გადაწყვეტილებით
და პასუხისმგებლობით
გადაწყვეტილებით.**

- მიღებულ და სასკოლო პრაქტიკაში დამკვიდრებულ გადაწყვეტილებათა მდგრადობა;
- ეროვნული სასწავლო გეგმის კონკრეტული დაკვეთა;
- საერთაშორისო გამოცდილება.

ამის შემდგომ დადგა პროექტის სამიზნე გამოწვევების ობიექტური და სრული გააზრების აუცილებლობა, რამაც ასეთი საწყისი ჩამონათვლის სახე მიიღო:

- კომპეტენციების საჭიროებანი საშუალო რგოლისთვის (რა ცოდნა და უნარები უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომელიც ჩართულია სასკოლო განათლების რეფორმის გააზრებისა და დანერგვის საქმეში?);
- საგანმანათლებლო რესურსების/სტანდარტების არარსებობა საშუალო რგოლისათვის (შესაქმნელია აკადემიურ და მეთოდოლოგიურ მასალათა რიგი სარეფორმო საქმიანობის უკეთ გაგნობიერებისა და იმპლემენტაციის კულტურის ამაღლებისთვის);
- სკოლის საშუალო რგოლის მნიშვნელობის შესახებ შესაბამისი აქტორების არასაკმარისი ინფორმირებულობა (სერიოზულ პრობლემად მოჩანს, რეფორმის თეორიულ წანამძღვართა გააზრება/დანერგვის თვალსაზრისით, საგნობრივ კათედრათა წევრების სათანადო ინფორმაციით აღჭურვა).

ზემოთქმულზე დაფუძნებით, გამოიკვეთა პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის შესაბამისი ამოცანათა გააზრების, დაგეგმვისა და გადაწყვეტის აუცილებლობა, რამაც, საბოლოოდ, ასეთი სახე მიიღო:

- საგანმანათლებლო ლიდერთათვის უნდა მოგვემზადებინა და საპილოტე სკოლებში განგვეხორციელებინა შესაბამისი ტრენინგ და ქოუჩინგ მოდელები;

- საშუალო რგოლისთვის უნდა შეგვექმნა საგანმანათლებლო რესურსები;
- მნიშვნელოვან ამოცანად დავისახეთ სკოლის საშუალო რგოლის მნიშვნელობაზე ცნობიერების ამაღლება შესაბამისი აქტორების შორის.

პირველი რიგის განსახორციელებელ საქმედ განვსაზღვრეთ შემდეგი ორგანიზაციული ამოცანების გადაწყვეტა:

- საპილოტე სკოლების შერჩევა;
- ტრენინგ მოდულების შექმნა;
- ქოუჩინგ მოდულების შექმნა;
- ტრენინგების განხორციელება;
- დანერგვის მონიტორინგი და ქოუჩინგი.

ამას მოჰყვა ძალიან მნიშვნელოვანი რამ – საგნობრივ კათედრათა ხელმძღვანელთათვის პირველი ადმინისტრაციულ-მეთოდოლოგიური გზამკვლევის შექმნა, ხოლო ცნობიერების ამაღლების პრინციპული ამოცანა სამი მთავარი ნაბიჯის გადადგმით გადავწყვიტეთ:

- ვიდეო პოდკასტები;
- საჯარო პანელური დისკუსიები;
- სტატიები ბეჭდურ თუ სოციალურ მედიაში.

პროექტის განსახორციელებლად საქართველოს მასშტაბით 30 საპილოტე სკოლა შეირჩა (ექვს-ექვსი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება – თბილისიდან, ქვემო ქართლიდან, შიდა ქართლიდან, კახეთიდან, სამეგრელოდან).

- განხორციელებაში ჩაერთო:
- 200-ზე მეტი კათედრის ხელმძღვანელი;
- პოდკასტებისა და დისკუსიების 100-ზე მეტი მონაწილე.

მის წარმატებით რეალიზებას დასტურდა:

- 1080 სატრენინგო საათი;
- 270 ქოუჩინგის საათი.



პროექტის განხორციელებამ რამდენიმე დაკვირვებისა და დასკვნის გამოტანის შესაძლებლობა მოგვცა.

დავიწყეთ პრეცედენტისა და საჭიროების ანალიზითა და შეფასებით:

1. პროექტისთვის სკოლათა შერჩევა არ გაგვირგებია, რადგან მათმა დიდმა უმრავლესობამ თავიდანვე დაინახა მისი საგანგებო მნიშვნელობა განათლების პროცესის უკეთესი ორგანიზებისა და ხარისხის ამაღლების თვალსაზრისით;
2. ბევრი სკოლა ახლაც ითხოვს, რომ პროექტის გაგრძელების შემთხვევაში, აუცილებლად ჩავრთოთ განხორციელების პროცესში;
3. პროექტის მონაწილე სკოლის ხელმძღვანელები და საგნობრივ კათედრათა გამგეები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც

კათედრის ხელმძღვანელთათვის ასეთი მნიშვნელობის პრაქტიკული ტრენინგები ჩატარდა—ამ მომენტამდე არავინ სკოლის მასწავლებლებთან არ შესულა მენეჯმენტის მოდელით და ეს პრეცედენტიცაა;

4. პროექტმა დაბადა მასობრივი სურვილი მისი გაგრძელების, გაღრმავებისა და მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

მეორე მომენტი, რასაც უნდა შევხებით, პროექტის განხორციელების ორიგინალურობა და უნიკალურობაა:

1. მისი ალქმის, გააზრების, დაგეგმვისა და განხორციელების თვალსაზრისით, არ ყოფილა ტრადიციის, მკვდარი სქემისა და იდენტური ქცევის პრაქტიკულად არცერთი მცდელობა თუ ფაქტი;
2. პროექტის ორგანიზატორები ვერ ვიხსენებთ ვერცერთ შემთხვევას, როდესაც

» **პროექტის
მონაწილე სკოლის
ხელმძღვანელები და
საგნობრივ კათედრათა
გამგებები ერთხელ
აღნიშნავენ, რომ ეს იყო
პირველი შემთხვევა,
როდესაც კათედრის
ხელმძღვანელთათვის
ასეთი მნიშვნელობის
პრაქტიკული
ტრენინგები ჩატარდა
– ამ მომენტად
არაფერს სკოლის
მასწავლებლებთან არ
შესულა შენეულობის
მოდულით და ეს
პრეცედენტულია.**

ორ სკოლაში მოდელმა აბსოლუტურად
ერთნაირად და იდენტურად იმოქმედა –
მონაწილე 30-ვე სკოლაში გამოიკვეთა
უნიკალური, მხოლოდ მათთვის დამა-
ხასიათებელი უნიკალური მიდგომები
– აკადემიური თუ აღმზრდელობითი
პრობლემის გააზრება და გადაწყვეტა
მორგებულიყო კონკრეტულ კომპეტენ-
ციებს, ხედვებსა და შესაძლებლობებს.

3. აქცენტი გაკეთდა სხვადასხვა გზის მო-
ძიებაზე, მრავალფეროვნებასა და ავ-
ტონომიურობაზე.

მესამე მომენტი გულისხმობს მართ-
ვის სტილსა და ჩართულობას შორის
კავშირს:

1. ერთმნიშვნელოვნად გამოიკვეთა, რომ
სადაც პრაქტიკულად მოქმედებდა
გაზიარებული ლიდერობის მოდელი
და სკოლის დირექტორს ჰქონდა მარ-
თვის გუნდური სტილი (რაც საერთო
პასუხისმგებლობას ქმნის და გა-
მოხატავს), იქ პროექტით განსაზღ-
ვრული ინტერვენციები ნაკლები

პრობლემებითა და წინააღმდეგობე-
ბით განხორციელდა;

2. ასეთ პირობებში სკოლის ხელმძღ-
ვანელებიც, კათედრის გამგეებიც და
მასწავლებლებიც შედარებითადვილად
აღიქვამდნენ გადასაწყვეტ ამოცანებს,
ავლენდნენ თანამშრომლობის მაღალ
კულტურას და მუდმივად ცდილობდ-
ნენ აკადემიური თუ მმართველობითი
სინერგიის შექმნას.

პროექტმა თვალნათლივ დაგვანახა
ძველი და ახალი გამოწვევები. რამდე-
ნიმე მათგანს კონკრეტულად შევეხები:
1. რაკი საგნობრივი კათედრის გამგეები,
როგორც წესი, 1 წლის ვადით აირჩე-
ვიან, მათი მოტივაცია, რიგ შემთხვევა-
ში, საკმაოდ დაბალი იყო – თვითრე-
ალიზებისა და სოციალური აღიარების
თვალსაზრისით, ისინი ვერ
ხედავდნენ სათა-
ნადო პროფე-
სიულ სარგე-
ბელს;



2. ისინი ზოგჯერ აცხადებდნენ, რომ მასწავლებელმა რაც გინდა დიდი შრომა ჩადოს კონკრეტულ საქმეში, ერთ არასრულწელიწადში მისი მარგი ქმედების სრული დანახვა და აღქმა ძნელი წარმოსადგენია;
3. საგნობრივი კათედრის გამგეები არიან ადამიანები, რომლებსაც ამარჩევით თანამდებობასთან დაკავშირებული სარგო არ აქვთ, რაც მათში გაწეული შრომის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი დაუფასებლობის განცდას ბადებს;
4. მათი მუშაობის მნიშვნელობა გათვალისწინებული არ არის პედაგოგთა პროფესიული განვითარების სქემაშიც, რაც, ასევე, უგულებელყოფს სათანადო მოტივაციას;
5. საკმაოდ ხშირად იკვეთებოდა არასასურველი ტენდენცია, რომ საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელები კარგად ვერ ხედავდნენ უშუალო კავშირს, კორელაციას მათ მუშაობასა და სკოლის მიერ მიღწეულ შედეგებს შორის და მუდმივად აპელირებდნენ დირექტორის გადაწყვეტილებებზე – „მთავარია, დირექტორი იყოს საქმის კურსში და მან მიიღოს ყველა არსებითი გადაწყვეტილება“. კათედრის ბევრ გამგეს შედარებით რთულად წარმოუდგენია ის, რომ თავად არის მართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლის სკოლაში – ეს განსაკუთრებით საგრძნობი გახდა პოსტპანდემიურ ვითარებაში;
6. არცთუ იშვიათად იგრძნობოდა, რომ კათედრათა ხელმძღვანელები სათანადოდ ვერ აფასებდნენ საგნობრივ კათედრათა შორის თანამშრომლობისა და კოორდინაციული მუშაობის მნიშვნელობას;
7. თვალნათლივ შევამჩნიეთ, რომ კათედრის გამგეები ციფრულ ტექნოლოგიებს ხშირად და ხალისით იყენებდნენ საკუთრივ სასწავლო პროცესის უკეთ წარსმართად, და არა მმართველობითი ფუნქციების (დაგეგმვა, ორგანიზება, პასუხისმგებლობა თანაწილება, კათედრის გამგის კანონით განსაზღვრულ ფუნქციათა სისტემური გააზრება) შე-

სასრულებლად. ასევე, მკაფიოდ გამოჩნდა, რომ ვინც, მაგალითად, „თიმის“ პლატფორმას იყენებდა მმართველობითი ამოცანების გადასაწყვეტად, შედეგებიც უკეთესი ჰქონდა;

8. საგანგებო აღნიშვნის ღირსია, რომ კათედრის გამგეთა საგრძნობი ნაწილი სათანადო ყურადღებას არ უთმობს აღმზრდელობით ამოცანათა გააზრებასა და გადაწყვეტას – ამ მხრივ, პროფესიული მომზადების ამაღლების ამოცანა მეტისმეტად თვალსაჩინოა, რომ ნაკლები ყურადღება დავუთმოთ. სკოლაში ნაწილში აღზრდის სისტემის არსებობა საერთოდ შეუმჩნეველი რჩება.

პროექტმა გამოკვეთა რამდენიმე არსებითი რეკომენდაცია, რომელსაც აქ წარმოგიდგენთ:

1. პროფესიული, სოციალური და ფინანსური მოტივატორების შექმნა საკანონმდებლო დონეზე;
2. მოტივატორების შექმნა სასკოლო დონეზე;
3. საგნობრივ კათედრათა გამგეების არჩევის წესისა და ვადის შეცვლა კანონში;
4. პროფესიული განვითარების სიმძიმის ცენტრის გადატანა საგნობრივი კათედრის განზომილებაში;
5. კათედრის ხელმძღვანელთა, როგორც საგნობრივ საგანმანათლებლო ლიდერთა აღქმა და მათი პროფესიული განვითარების შესაბამისი რესურსების/პლატფორმების შექმნა;
6. სკოლის დირექტორთა მოტივირება საშუალო რგოლის, როგორც ეფექტური და ეფექტიანი მართვის ქმედითი ინსტრუმენტის გასაძლიერებლად.

პროექტი დასრულდა, მაგრამ მისი დამფინანსებლები, მხარდამჭერები, ორგანიზატორები და ძველი თუ პოტენციური მონაწილენი თანხმდებიან, რომ ის, ამა თუ იმ ფორმით, უნდა გაგრძელდეს სკოლის წინაშე არსებულ თანამედროვე გამოწვევათა უკეთ გასაზრებლად და გადასაწყვეტად.



**პროექტის
ორგანიზატორები ვერ
ვიხსენებთ პირპირ
შეხვედრას, როდესაც
ურ სკოლაში მოდულა
აგსოლუტურად
ერთნაირად და
ილენსურად იმოქმედა
– მონაწილე ვი-ვი
სკოლაში გამოიკვეთა
უნიკალური,
გხოლოდ გათვით
დაგახანიათიველი
უნიკალური მიდგომები
– აპაღმიური თუ
ალფრდულოგიითი
პრობლემის გააზრება და
გადაწყვეტა მოკრეპული
იყო კონკრეტულ
კომპაქტანციებს, ხელშეწყობა
და შესაქმელობებს.**

შუალედური რგოლის მენეჯმენტისა და საგნობრივი ლიდერების როლი მოსწავლეთა აკადემიური შედეგების გაუმჯობესების პროცესსა და სკოლის დემოკრატიულ გარემოში

მოკრის დანდურიშვილი

სსიპ ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორი



» გაკვეთილის მიზანი და შეფასების კრიტერიუმები სწორილია გამოკითხული მოსწავლეების გზომოდ 20%-სთვის, 28%-ში გასწავლებელი ამოწმებს, გვიმოთუ არა მოსწავლე ახსნილი გასალა; გამოკითხულთა გზომოდ 45% აღნიშნავს, რომ გასწავლებელი დროულად უბრუნებს უკუკავშირს.

შუალედური რგოლის მენეჯმენტის, საგნობრივი ლიდერების გასაძლიერებლად, მოსწავლეთა აკადემიური შედეგების გასაუმჯობესებლად და სკოლის დემოკრატიული მართვისთვის, სსიპ ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლაში 2021-2022 სასწავლო წლის მანძილზე მუშაობა წარიმართა შემდეგი მიმართულებებით:

1. **საგაკვეთილო დაკვირვება.** განხორციელდა საგაკვეთილო დაკვირვებები, რომლის დროსაც დირექტორი/დირექტორის მოადგილე/საგნობრივი კათედრის ხელმძღვანელი ახორციელებდა აღწერით დაკვირვებას; შემდეგ მასწავლებელთან ერთად განიხილებოდა დაკვირვების შედეგები და სწავლებასთან დაკავშირებული გამოწვევები; დამკვირვებლების მხრიდან გაიცემოდა კონსტრუქციული უკუკავშირი და ხდებოდა განმეორებითი საგაკვეთილო დაკვირვება.

2. **მოსწავლეთა გამოკითხვა და კათედრების წევრების მიერ თვითშეფასების კითხვარის გამოყენება.** ინსტრუმენტების გამოყენების მიზანი იყო: ა) სასწავლო პროცესის ხარისხის მართვისთვის, მოსწავლეების მიერ მასწავლებლის მუშაობის შეფასება; ბ) კათედრების მუშაობის სრულ ციკლზე დაკვირვება;

3. **სკოლის ინსტიტუციური განვითარება.** კერძოდ: ა) კათედრის თავმჯდომარეების როლის წარმოჩენა სკოლის ინსტიტუციური განვითარებაში; ბ) საგნობრივი ლიდერების გაზრდილი როლი სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასა და მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებაში; გ) გაზიარებული ლიდერობის პრინციპების გამოყენებით, ხარისხის განვითარების ციკლის დანერგვა, კათედრის უწყვეტი განვითარება; დ) სკოლის დემოკრატიული მართვის ხელშეწყობა.

განვიხილოთ თითოეული მათგანი.

საგაკვეთილო დაკვირვება განხორციელდა შემდეგნაირად: დირექტორი/მოადგილე/კათედრის ხელმძღვანელი აკვირდება პირველ საკვეთილს, რა დროსაც ხდება აღწერითი დაკვირვება. შემდეგ ხდება საკვეთილის განხილვა მასწავლებელთან ერთად და კონსტრუქციული უკუკავშირის

მიცემა მასწავლებლისთვის იმ გასაუმჯობესებელი მიმართულებით, რომელიც გამოიკვეთა საგაკვეთილო დაკვირვებისას. შემდეგ ხდება მეორე საგაკვეთილო დაკვირვება, რომელიც ფოკუსირებულია გაცემული რეკომენდაციის შესრულებაზე.

საგაკვეთილო დაკვირვებისას გამოიკვეთა სამი ძირითადი გამოწვევა, კერძოდ: 1. მასწავლებლის მიერ განმავითარებელი უკუკავშირის ეფექტური გამოყენება. დამკვირვებლის მიერ გაიცა შესაბამისი რეკომენდაცია, რომელიც გაითვალისწინა მასწავლებელმა და მეორე დაკვირვებისას გამოჩნდა, რომ მასწავლებელმა მოსწავლისთვის გასაგები გახადა საჭირო ცვლილებები, გასაუმჯობესებელი მხარეები, სტრატეგიები და პროცედურები. 2. მოსწავლეებში კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების და პრობლემების გადაჭრის უნარის განვითარება. დამკვირვებლების მიერ გაიცა შესაბამისი რეკომენდაცია, რომელიც გაითვალისწინა მასწავლებელმა და მეორე დაკვირვებისას გამოჩნდა, რომ მოსწავლეებს მიეცათ საშუალება, მოეხერხებინათ თავიანთი იდეისა და მტკიცებულებების ჩამოყალიბება, ფაქტებისა და მოვლენების შეფასება და საკუთარი აზრის დაფიქსირება, პრობლემის გადაჭრა ორიგინალური გზით. 3. სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპის დაცვა. დამკვირვებლების მიერ გაიცა შესაბამისი რეკომენდაცია, რომელიც გაითვალისწინა მასწავლებელმა და მეორე დაკვირვებისას გამოჩნდა, რომ მოსწავლეებმა მოახერხეს, ძველი და ახალი ცოდნის შედარების მეშვეობით, ახალი ინფორმაციის შეგროვება, დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანა, აზროვნება, ცოდნის კონსტრუირება.

ფაქტობრივად, პირველად განხორციელდა სისტემატიზებული **მოსწავლის მიერ გასაუმჯობესებელი უწყვეტი** (აქამდე გვეყონდა ერთეული შემთხვევები) შემდეგი მიმართულებებით:

- მასწავლებლის კომუნიკაცია მოსწავლეებთან;
- მასწავლებლების უნარი, დააინტერესოს მოსწავლეები;
- მასწავლებლის მიერ სასწავლო მასალის ახსნა;
- მასწავლებლის მიერ ნასწავლი მასალის შეჯამება;
- მასწავლებლების მიერ მოსწავლეების მიმართ ზრუნვის გამოჩენა;
- მასწავლებლის მიერ მოსწავლეების წახალისება;
- მასწავლებლის მიერ მოსწავლეთა ქცევის მართვა.

გამოკითხვის შედეგად, გამოვკვეთეთ ძირითადი მიგნებები, კერძოდ: საკვეთილის მიზანი და შეფასების კრიტერიუმები ცნობილია გამოკითხული მოსწავლეების მხოლოდ 20%-სთვის, 28%-ში მასწავლებელი ამოწმებს, გაიგო თუ არა მოსწავლემ ახალი მასალა; გამოკითხულთა მხოლოდ 45% აღნიშნავს, რომ მასწავლებელი დროულად უბრუნებს უკუკავშირს. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში ძირითადი გამოწვევა არაეფექტური კომუნიკაციაა.

მეორე გამოწვევა აღმოჩნდა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განსავითარებელი აქტივობების ნაკლებობა, რადგან გამოკითხულ მოსწავლეთა 68%-ს სურვილი აქვს, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განსავითარებელი საკვეთილები უტარდებოდეს და მხოლოდ მოსწავლეთა 66% აღნიშნავს, რომ მასწავლებელს მოსწონს, როცა ისინი კითხვებს სვამენ.

ასევე, ფაქტობრივად პირველად განხორციელდა სისტემატიზებულად **სამუშაოში კათოდების თვითშეფასება** (აქამდე შემოვიფარგლებოდით კათედრებთან დაკავშირებით ეროვნული სასწავლო გეგმის ჩანაწერის შესრულებით), შემდეგი მიმართულებებით:

- მუშაობის ორგანიზება;

გამოკითხულ

მოსწავლეთა 68-ს

სურვილი აქვს,

კრიტიკული და

შემოქმედებითი

აზროვნების

განსავითარებელი

საკვეთილები

უტარდებოდეს და

მხოლოდ მოსწავლეთა

66% აღნიშნავს, რომ

მასწავლებელს მოსწონს,

როცა ისინი კითხვებს

სვამენ.

» ჩვენ მიერ განხორციელებული დაპირებებისა და კვლევების ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კათედრების გაკლიერების შესაძლებლობა და საგნობრივი ლიდერების როლის გაკლიერებამ ხელი შეუწყო მოსწავლეთა აკადემიური შედეგების გაუმჯობესების პროცესს და სკოლის დემოკრატიულ გარემოს.

- საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების სწავლების კოორდინირება;
- ზრუნვა საგანმანათლებლო რესურსებზე;
- თანამშრომლობა კათედრებს შორის;
- კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება;
- სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვა;
- შემაჯამებელი დავალებების, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზი.
- კათედრების თავმჯდომარეები მონაწილეობენ სკოლის ბიუჯეტირების პროცესში და შესაბამისად ორგანიზაციის დემოკრატიულ მართვაში;
- უზრუნველყოფილია სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება;
- კვლევის შედეგების ანალიზის შესაბამისად, იგეგმება და ხორციელდება ინტერვენციები;
- კათედრებს აქვთ: სამოქმედო გეგმა, გეგმის მონიტორინგის დოკუმენტი, ანგარიშის ფორმა, ე.წ. შემაჯამებელი დავალებების რუკა.

ჩვენ მიერ განხორციელებული დაკვირვებებისა და კვლევების ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კათედრების გაძლიერების შესაძლებლობამ და საგნობრივი ლიდერების როლის გაძლიერებამ ხელი შეუწყო მოსწავლეთა აკადემიური შედეგების გაუმჯობესების პროცესს და სკოლის დემოკრატიულ გარემოს.

გაუმჯობესება	დაპირებული / განხორციელებული ინტერვენციები
კათედრის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის სისტემის არარსებობა	შეიქმნა კათედრის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის დოკუმენტი. კათედრები ამზადებენ წლიურ ანგარიშებს
კათედრებს შორის თანამშრომლობის დაბალი ხარისხი	დაიგეგმა კათედრების ერთობლივი საქმიანობების განხორციელება
ბიუჯეტირების პროცესში კათედრების მონაწილეობის დაბალი ხარისხი	ზოგიერთი კათედრის ჩართულობით, უკვე შეიცვალა ბიუჯეტის პროექტი. 2023 წლის ბიუჯეტირების პროცესში მოხდება ყველა კათედრის ჩართულობის უზრუნველყოფა.

სკოლის ინსტიტუციური განვითარებისთვის და დემოკრატიული გარემოს გასაუმჯობესებლად, ამ ეტაპზე მიღწეულია შემდეგი:

- მოსწავლეებისთვის სასწავლო პროცესი გახდა რეალურად მათზე ორიენტირებული;
- კათედრების თავმჯდომარეებმა შესაბამისი ცოდნა შეიძინეს (რომლის გამოყენებაც რეალურად სცადეს);

მიუხედავად კათედრების გაუმჯობესების პროცესისა და სკოლის დემოკრატიულ მართვას.

სკოლის გართვის საშუალო რგოლის გაძლიერება საქართველოში – ჩვენი სკოლის გამოცდილება



ლალი ხაჩიძე

სახელმწიფო ენის (ქართულის, რომერს
გერმან ენის) პათოდრის ხელმძღვანელი,
სსიპ ქალაქ თბილისის 98-ე საჯარო სკოლა

საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციის პროექტი „სკოლის მენეჯმენტის გაძლიერება საქართველოში“ მიზნად ისახავდა მენეჯმენტის საშუალო რგოლის განვითარებას, კათედრების ხელმძღვანელების გადამზადებას ლიდერობასა და მენეჯმენტში და კათედრების სისტემის გაძლიერებას.

აღნიშნულ პროექტში მონაწილეობა მიიღო სსიპ ქალაქ თბილისის 98-ე საჯარო სკოლამ. პროექტით გათვალისწინებული იყო სხვადასხვა ტიპის ტრენინგი და ქოუჩინგი, რამაც მოგვცა კათედრის საქმიანობის მართვისთვის საჭირო ინსტრუმენტების დახვეწილი მოდელი – შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმა და ცხრილი სამიზნე ცნებებთან მიმართებით; კათედრის პორტფოლიოს სტრუქტურა; კათედრის ანგარიშის სტრუქტურა. ჩვენ საშუალება მოგვცა, სიღრმისეულად გავცნობოდით Microsoft Teams-ის იმ ფუნქციონალს, რომელსაც სამომავლოდ კათედრები გამოვიყენებთ საქმიანობის ეფექტურად წარმართვისათვის. ამასთანავე, მიღებული ცოდნა-გამოცდილება დაგვეხმარება კათედრების სისტემის გაძლიერებაში, რაც თავისთავად გულისხმობს თითოეული მასწავლებლის აქტიურად ჩართვას სკოლის

ცხოვრებაში, ასევე, გააძლიერებს დემოკრატიულ მმართველობას სკოლებში.

პროექტის შემაჯამებელ კონფერენციაზე 98-ე საჯარო სკოლამ წარადგინა კათედრის მუშაობის პრაქტიკა – „ტექნოლოგიების როლი კათედრის წევრებსა და კათედრებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებაში“ და განიხილა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია Microsoft Teams-ის გუნდის შექმნა და მისი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება არა მარტო ცალკეული სკოლები-სათვის, არამედ სკოლათა შორის თანამშრომლობისთვისაც.

MICROSOFT TEAMS-ის ფუნქციონალი

ტექნოლოგიების გარეშე კათედრის სწრაფვა დასახული მიზნისკენ, ხშირ შემთხვევაში, დამოკიდებული იყო კათედრის წევრთა შორის პირისპირ შეხვედრათა რაოდენობასა და ინდივიდუალურ სატელეფონო საუბრებზე.

მიუხედავად იმისა, რომ წლებია არსებობს არაერთი ონლაინ სივრცე, რომელსაც მასწავლებლები ვიყენებთ სამუშაო ჯგუფებში, გარკვეულ სირთულეებს მაინც ვაწყდებით რესურსებისა და დროის სწორად მართვის მხრივ.

პროექტის დასასრულს



გაჩნდა ახალი

ინიციატივა – ძველი

თბილისის რაიონის

საგანმანათლებლო

რესურს-ცენტრში

შეგავალი სკოლებისათვის

– სახელმწიფო ენის

(ქართულის, რომერს

გერმან ენის) პათოდრების

სკოლათა შორის

კლასტერების შექმნის

შესახებ. ასეთი ტიპის

ვირტუალური სივრცეები

თანამედროვე და

მოქნილი ინსტრუმენტია

პათოდრებსა და სკოლებს

შორის ურთიერთობათა

განმტკიცებისათვის,

რაც ქმნის გლობალური

საფუძველს.



თიმის პლატფორმის გამოჩენამ ჩვენს სივრცეში პროგრესული „ნახტომით“ მოგვცა საშუალება, კარგად ორგანიზებულ ვირტუალურ სამყაროში გადაგვეტანა სამუშაოს ის ნაწილი, რომელიც ფრიად მნიშვნელოვანია კათედრების მართვისთვის, შედეგად კი მივიღეთ:

- გაუმჯობესებული მენეჯმენტი;
- ეფექტური კომუნიკაცია ვირტუალურ სივრცეში;
- ორგანიზებული რესურსები.

მარტივი, საჭირო და უსასრულო ... ეს მახასიათებლები გვიქმნის წარმოდგენას თიმის პროფესიონალურ სასწავლო (PLC) გუნდზე, სადაც მასწავლებლებს შესაძლებლობა აქვთ, ერთად იმუშაონ საერთო მიზნებსა თუ პროფესიულ განვითარებაზე. ყოველი PLC გუნდი გვეხმარება მასალების ორგანიზებაში, თანამშრომლობასა და OneNote-ის ბლოკნოტზე წვდომაში.

აქვე აღვნიშნავ Microsoft Teams-ის პლატფორმის იმ შესაძლებლობებს, რომელთაც უკვე აქტიურად ვიყენებთ სამუშაო პროცესისათვის:

- კათედრის შეხვედრების ორგანიზება და მართვა;
- პორტფოლიოს შექმნა და მართვა;
- კათედრის საქმიანობის დაგეგმვა და წარმართვა;
- გამოკითხვის შექმნა;
- გეგმის შემუშავება/დავალების დამატება;
- ვებრესურსების მართვა.

კათედრის თიმს გუნდს გააჩნია განყოფილებები (არხები) სხვადასხვა დანიშნულების მიხედვით. მაგალითად, (files) საქალაქო დეპარტამენტებში თავმოყრილია ელექტრონული მასალები პროფესიული განვითარების, დოკუმენტების, რესურსებისა და პორტფოლიოსთვის საჭირო მიმართულებების მიხედვით, რაც კომფორტულია, ვინაიდან კათედრის თითოეულ წევრს, რა დროც უნდა იყოს, მარტივად შეუძლია, ნახოს და გამოიყენოს მისთვის საჭირო დოკუმენტები თუ რესურსები. დღესდღეობით, ყოველდღიურ სამუშაო რეჟიმშია კათედრის თიმს გუნდი და დაგეგმილი გვაქვს, კათედრის რომელი წევრი როგორ იზრუნებს საქალაქო დეპარტამენტების შევსება-განახლებაზე.

სამოქმედო გეგმის განყოფილება კი მცისიერად გვიდებს თვალწინ, თუ რა სამუშაოები შევასრულეთ, რა პროცესში ვართ, ხომ არ გამოგვჩა რაიმე შესასრულებელი. პროგრამა აანალიზებს ჩვენ მიერ შესრულებულ სამუშაოს, რომელსაც გვაწვდის დიაგრამების სახით. აღსანიშნავია, რომ ეს ყოველივე ოთხი ძირითადი მიმართულების მიხედვით არის დალაგებული:

- არაფორმალური განათლება;
- პროფესიული განვითარება;
- სასწავლო პროცესის დაგეგმვა;
- მოსწავლეთა შეფასება.

ასევე, შესაძლებელია „რჩეული აპები“ და „ფაილები“ გადავაქციოთ ჩანართებად ჩვენი არხის ზედა პანელში.

გემოთქმულიდან გამომდინარე, კათედრისთვის მნიშვნელოვანი საკითხების დაგეგმვა თიშს გუნდის ჩანართების გარეშე უკვე წარმოუდგენლად მიგვაჩნია, რადგან პროგრამა თავად შეახსენებს ყველას დაგეგმილ აქტივობებს და, შესაბამისად, სამუშაო ხდება მეტად გამჭვირვალე.

კათედრის „თიშს“ გუნდის ზოგადი ნაწილი გვაძლევს საშუალებას, დავგეგმოთ შეხვედრები, გავაკეთოთ განცხადებები, დავწეროთ კომენტარები, ჩავატაროთ გამოკითხვები. ვინაიდან ნებისმიერი მასწავლებელი თიშის აპლიკაციას უკვე ყოველდღიურად იყენებს, მცისიერად მიეწოდება ინფორმაცია ყველა სიახლის, გზავნილის, ღონისძიებისა თუ დაგეგმილი აქტივობის შესახებ. სწორედ ეს ხდის Microsoft Teams-ს მარტივს, საჭიროსა და უსასრულოს...

ილია „ჩავალება“ და ურთიანლება

როდესაც პროექტი მთავრდება, მაგრამ ხდება ახალი იდეის საფუძველი, ეს იმას ნიშნავს, რომ პროექტმა ნაყოფი გამო-

იღო. ვინაიდან, იდეა, რომელიც იბადება და ფრთიანდება, მოგვიწოდებს ახალი გამოწვევების მიღებისა და გარკვეული ნაბიჯების გადადგმისაკენ, რაც უმნიშვნელოვანესია ჩვენი განვითარებისათვის.

პროექტის დასასრულს გაჩნდა ახალი ინიციატივა – ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრში შემავალი სკოლებისათვის – სახელმწიფო ენის (ქართულის, როგორც მეორე ენის) კათედრების სკოლათაშორის პლატფორმის შექმნის შესახებ. ასეთი ტიპის ვირტუალური სივრცეები თანამედროვე დამოქნილი ინსტრუმენტია კათედრებსა და სკოლებს შორის ურთიერთობათა განმტკიცებისათვის, რაც ქმნის მდგრადობის საფუძველს.

ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრთან თანამშრომლობა, კარგად ორგანიზებული სამუშაო ჯგუფის შექმნა, შეხვედრების გეგმის შემუშავება, სიახლეების გაზიარება საშუალებას მოგვცემს, რომ პროფესიულად გავაძლიეროთ ერთმანეთი, გავუზიაროთ ერთმანეთს გამოცდილება, ერთობლივად დავგეგმოთ, განვიხილოთ და შევექმნათ სასწავლო რესურსები თუ კომპლექსური დავალებები, ჩავატაროთ ერთობლივი ღონისძიებები. აღნიშნული ინიციატივისთვის თანადგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან საჭიროა გამოცდილება, რეკომენდაციები, სწორად შერჩეული სამოქმედო გზა.

საბოლოოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ტექნოლოგიების როლი არა მხოლოდ კათედრის წევრებსა და კათედრებს შორის თანამშრომლობისთვის უნდა გაძლიერდეს, არამედ სკოლათაშორის ურთიერთობისთვისაც, რათა 21-ე საუკუნის მასწავლებლებმა შეძლონ დროის ეფექტურად მართვა, სამუშაოს უკეთ ორგანიზება და კათედრების საქმიანობის სისტემის გაუმჯობესება.

» **სამოლოოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ტექნოლოგიების როლი არა მხოლოდ კათედრის წევრებსა და კათედრებს შორის თანამშრომლობისთვის უნდა გაძლიერდეს, არამედ სკოლათაშორის ურთიერთობისთვისაც, რათა 21-ე საუკუნის მასწავლებლებმა შეძლონ დროის ეფექტურად მართვა, სამუშაოს უკეთ ორგანიზება და კათედრების საქმიანობის სისტემის გაუმჯობესება.**



ლიანა წურუშია

განათლებისა და მეცნიერების
საინინისტროს უილა აუდიტის
დეპარტამენტის უილა აუდიტის
სამმართველოს უფროსი, განათლების
სამართლის გვერდები

» იმის გათვალისწინებით, რომ ზემოთხსენებული ფუნქციონირების პარალელურად, საჯარო სკოლას მინიჭებული აქვს ავტონომია, მნიშვნელოვანია, არსებობდეს კონსტრუქციული მექანიზმები და ავტონომიას უზრუნველყოს შესაბამისი კონსტრუქციული დაგეგმვითი მექანიზმები.

საჯარო სკოლის ავტონომია და გარე კონსტრუქციული მექანიზმები



„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი ზოგადი განათლების სერვისის მიწოდების უფლებამოსილებას ანიჭებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას/სკოლას, რომელიც, თავის მხრივ, შესაძლოა არსებობდეს სკოლის ან დაწესებულების სახით: ა) სკოლა არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ განსაზღვრული წესით ავტორიზებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი (საჯარო სკოლა) ან კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და სრულად მოიცავს ზოგადი განათლების ერთ საფეხურს მაინც;

ბ) დაწესებულებაში იგულისხმება სუბიექტი, რომელიც საქართველოში ახორციელებს საზღვარგარეთ აღიარებულ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას, რომლის აღიარებისთვისაც სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს უცხო ქვეყნის უფლებამოსილი ინსტიტუტთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება.

იმის გათვალისწინებით, რომ საზღვარგარეთ აღიარებული პროგრამის განხორციელებელ სუბიექტზე არ ვრცელდება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები, ხოლო, სკოლების შემთხვევაში, ყველაზე დიდი წილი მოდის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით მოქმედ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებზე, კონტროლის მექანიზმების განხილვაც ამ სეგმენტის (საჯარო სკოლები) მიმართ განხორციელდება.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ზოგადი განათლება უფასოა და სერვისის ამგვარად მიწოდებისთვის საჭირო სახსრების გამოყოფა ახორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ხოლო სკოლის მიერ მიწოდებული სერვისის ხარისხი არსებით გავლენას ახდენს ზოგადი განათლების მიზნების მიღწევაზე, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება კონტროლის ადეკვატური მექანიზმების არსებობას.

ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონმდებლობაში სისტემატიზებული სახით არ არის მოცემული ზოგადად კონტროლის არსი და სახეები, თუმცა, სხვადასხვა აქტის ანალიზით, შესაძლებელია

ძირითადი მექანიზმებისა და სუბიექტების გამოყოფა, კერძოდ:

1. საპარტეპოლო განათლებისა და გენდერული საინიციატივა

— ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, საჯარო სკოლაზე სახელმწიფო კონტროლის განმხორციელებელი ორგანო. ცხადია, სახელმწიფო კონტროლის უფლებამოსილება შემოფარგლულია კონკრეტული აქტივობებით/ვადებით და არ არის აბსოლუტური. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფო კონტროლი გულისხმობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა და სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესრულების ზედამხედველობას. ამ ფუნქციის ეფექტურად განხორციელების მიზნით, სამინისტრო იყენებს ისეთ მექანიზმებს, როგორებიცაა:

- ა) მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე, გასული წლის საქმიანობის ანგარიშის სამინისტროში წარდგენის ვალდებულება— ანგარიში აუცილებლად უნდა მოიცავდეს ინფორმაციას კანონმდებლობის შესრულებისა და სასწავლო პროცესის შესახებ;
- ბ) კონკრეტულ შემთხვევასთან (საჩივარი, განცხადება, შემოწმება) ან პროცესთან (აუდიტი და სხვა) დაკავშირებით, მასალებისა და ინფორმაციის გამოთხოვა ან ადგილზე შესწავლა;
- გ) შესაბამისი დასაბუთების არსებობის პირობებში, სკოლის ცალკეული სტრუქტურული ერთეულების მიმართ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები — საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა და სამინისტროს ინ-

დივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების დარღვევის შემთხვევაში, სამინისტრო უფლებამოსილია, საჯარო სკოლას მისცეს წერილობითი გაფრთხილება ან/და საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს მიმართოს შესაბამისი დასაბუთებული წარდგინებით დირექტორისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე, ხოლო თუ სამეურვეო საბჭო უარს განაცხადებს დირექტორის გათავისუფლებაზე, სამინისტრო უფლებამოსილია, თავად გაათავისუფლოს დირექტორი;

- დ) სტრუქტურული ერთეულებისთვის უფლებამოსილების მინიჭების პროცესი — პასუხისმგებლობასთან ერთად, საჯარო სკოლის საქმიანობის გარე კონტროლის მექანიზმს წარმოადგენს სკოლის მართვის ორი უმნიშვნელოვანესი სუბიექტის — სკოლის დირექტორის/დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის და სამეურვეო საბჭოსთვის უფლებამოსილების დაკისრების/ცნობის პროცედურა. სკოლის ხელმძღვანელის შემთხვევაში, ეს შეიძლება იყოს, სპეციალური პროცედურების საფუძველზე, დირექტორობის კანდიდატის შერჩევა და სამეურვეო საბჭოსათვის წარდგენა ან პირდაპირ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნა. წარმომადგენლობითი ორგანოს ნაწილში, კონტროლის მექანიზმს წარმოადგენს სამინისტროს მიერ სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატების შერჩევის პროცედურების განსაზღვრა, პროცესის მონიტორინგი და შედეგების ცნობა.

- ე) დაფუძნება/რეორგანიზაცია/ლიკვიდაცია — კონტროლის ერთ-ერთ მექა-

იმის გათვალისწინებით, რომ საპარტეპოლო ზოგადი განათლება უფასოა და სერვისის ამგვარად მიწოდებისთვის საჭირო სახსრების გამოყოფა ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ხოლო სკოლის მიერ მიწოდებული სერვისის ხარისხი არსებით გავლენას ახდენს ზოგადი განათლების მიზნების მიღწევაზე, გენდერული პოლიტიკის ენიჭება პონტროლის აღკვეთის მიზნით.



» კონტროლის
მექანიზმებთან ერთად,
არსებობს, ასევე, სკოლის
ადმინისტრაციული და
ფინანსური ავტონომია,
რაც „ზოგადი განათლების
შესახებ“ საქართველოს
კანონით, გულისხმობს,
ზოგადსაგანმანათლებლო
დაწესებულების
თვითმმართველობას,
როგორც სუბიექტები
საჯარო სკოლაში არიან:
საგუბერნო საბჭო,
დირექცია, პედაგოგიური
საბჭო, მოსწავლეთა
თვითმმართველობა,
დისციპლინური
კომისია, ასევე,
სააკადემიკო კომისია
– ასეთი არსებობის
შემთხვევაში.

ნიმუდ შესაძლებელია ჩაითვალოს, ასევე, სკოლის სსიპ-ის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით დაფუძნების უფლებამოსილება, რაც გამომდინარეობს საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ და ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონებიდან. ამავდროს, შესაბამისი გარემოებების არსებობისას, სამინისტრო იღებს გადაწყვეტილებას რეორგანიზაციის (გაერთიანება/გამოყოფა)/ლიკვიდაციის თაობაზე;

3) გადაწყვეტილებაზე შემოქმედება – სამინისტრო უფლებამოსილია, შეაჩეროს ან გააუქმოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის არამართლმომერი გადაწყვეტილება;

4) ნებართვები ცალკეულ საქმიანობაზე/გადაწყვეტილებებზე – საჯარო სკოლის მიერ უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა; სესხის აღება; თავდებობა; საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის განსაზღვრა; სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში, შრომითი ხელშეკრულებით დასასაქმებელი პირების ფუნქციებისა და რაოდენობის განსაზღვრა; სხვა გადაწყვეტილებები საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქონებასთან დაკავშირებით, თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს;

5) ბალანსის მიღება – „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის დადგენილი მექანიზმი, რომლის თანახმად, საჯარო სკოლა, ერთი მხრივ, აწარმოებს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგებას, ადგენს ბალანსს, ხოლო, მეორე მხრივ, ამ დოკუმენტს წარუდგენს სამინისტროს;

6) წარმომადგენლის დანიშვნა – გარე კონტროლის მექანიზმს წარმოადგენს სამინისტროს უფლებამოსილება, სკოლის სამეურვეო საბჭოში დანიშნოს თავისი წარმომადგენელი. ფუნქცია მნიშვნელოვანია, რამდენადაც სამეურვეო საბჭო წარმოადგენს სკოლის დირექტორის საქმიანობაზე შიდა კონტროლის არსებით მექანიზმს.

2. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი სამინისტროები – გარე კონტროლის მექანიზმის მფლობელებს ქვეყნის ავტონომიური ერთეულების საჯარო სკოლებთან მიმართებით, წარმოადგენენ შესაბამისი სამინისტროები. აჭარის ა/რ შემთხვევაში, ეს არის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ხოლო აფხაზეთის ა/რ შემთხვევაში – განათლებისა და კულტურის სამინისტრო. აღნიშნული სამინისტროების მექანიზმები, უმეტეს შემთხვევაში, ფუნქციონირებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გავლით – გადაწყვეტილების წარდგენის/შუამდგომლობის ფორმით. მაგალითად, სსიპ-ის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით საჯარო სკოლების დაფუძნებისთვის აუცილებელია ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროების წარდგინება. ამავდროულად, სამინისტროების წარდგინებით ხორციელდება ავტონომიური რესპუბლიკების საჯარო სკოლების სამეურვეო საბჭოს წარმომადგენელ წევრთა დანიშვნა. კონტროლის მექანიზმს წარმოადგენს, ასევე, სამეურვეო საბჭოს შემადგენლობის დათხოვნისა და, ცალკეულ შემთხვევებში, სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნა/გათავისუფლების, ასევე, სკოლის მიერ ქონების განკარგვაზე მიღებული

გადაწყვეტილების შეთანხმების უფლებამოსილება.

3. **სხვაუწყვეტი**—სკოლების საქმიანობის გარე კონტროლის ცალკეული მექანიზმები, მხოლოდ კონკრეტული მიმართულებით, გააჩნიათ, ასევე, სხვა სახელმწიფო უწყებებს. მაგალითად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სავალდებულო თანხმობის მექანიზმით აკონტროლებს საჯარო სკოლის მიერ სესხის აღების ან თავდებობის თაობაზე გადაწყვეტილებას. ასევე, უძრავი ქონების განკარგვის შემთხვევაში, გადაწყვეტილების რეალიზებისთვის აუცილებელია სსიპ—სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობა. სააგენტო ფლობს, ასევე, კონტროლის მექანიზმს სკოლის მიერ ჯარის განკარგვის შემთხვევაში. კანონმდებლობა, ასევე, ითვალისწინებს სსიპ—საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მფლობელობაში არსებულ მექანიზმს, რაც გამოიხატება შენობის

დემონტაჟის დროს სააგენტოს სავალდებულო წერილობითი დასტურში, რომ გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონს.

კონტროლის მექანიზმებთან ერთად, არსებობს, ასევე, სკოლის ადმინისტრაციული და ფინანსური ავტონომია, რაც „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, გულისხმობს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების თვითმმართველობას, რომლის სუბიექტები საჯარო სკოლაში არიან: სამეურვეო საბჭო, დირექცია, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, ასევე, სააპელაციო კომიტეტი—ასეთის არსებობის შემთხვევაში. სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს აღნიშნული ავტონომია. გარდა ამისა, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, საჯარო სკოლას მართავს ხელმ-

» ავტონომიურობა და დამოუკიდებლობა გულისხმობს სკოლის შიგნით მისაღებ გადაწყვეტილებებში ჩაუკეპლობას, ხოლო გადაწყვეტილების მიღების შედეგად, რომელსაც საქმე ეხება სახელმწიფო მფლობელობაში მდებარეობის, კონსტრუქციის შექმნის შემთხვევაში ერთიანი გათვალისწინებული პრაქტიკის უზრუნველყოფა.



» **საჯარო სკოლის
გარე კონტროლის
მექანიზმებსა და
სკოლის ავტონომიას
შორის ბალანსის
დაცვის საშუალებას
წარმოადგენს მიღებული
გადაწყვეტილებების
დასაბუთების
ვალდებულება,
ჯამბოჯი სახელმწიფო
ორგანოს ჩართვა
სადავო შემთხვევაში
ან სასამართლო
ინსტიტუტის გამოყენება.**

ძღვანელი, რომელიც შესაბამისი კანონის, საქართველოს მთავრობის დადგენილების, წესდების (დებულების) ფარგლებში დამოუკიდებლად მოქმედებს. ამავე კანონით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი საქმეებს უძღვება ერთპიროვნულად, მასვე ეკისრება საჯარო სამართლის იურიდიული პირის წარმომადგენლობა და პერსონალურად აგებს პასუხს მისი საქმიანობის სწორად წარმართვაზე.

იმის გათვალისწინებით, რომ ზემოაღნიშნული შემდგომი პარალელურად, საჯარო სკოლას მინიჭებული აქვს ავტონომია, მნიშვნელოვანია, არსებობდეს კონტროლის მექანიზმებსა და ავტონომიას შორის შესაძლო კონფლიქტის დამაბალანსებელი დამატებითი მექანიზმები. მნიშვნელოვანია, რომ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონი თავად ადგენს დამოუკიდებლობის ფარგლებს, როდესაც განმარტავს, რომ სსიპ-ი საქმიანობას დამოუკიდებლად ახორციელებს, თუმცა სახელმწიფო კონტროლით.

ამდენად, ავტონომიურობა და დამოუკიდებლობა გულისხმობს სკოლის შიგნით მისაღებ გადაწყვეტილებებში ჩაურევლობას, ხოლო გადაწყვეტილების მიღების შემდგომ, როდესაც საქმე ეხება სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვან მიმართულებებს, კონტროლის მექანიზმები ერთვება მათი რეალიზების ეტაპზე. ამასთან, კონტროლის მექანიზმის მფლობელის გადაწყვეტილება არ არის აბსოლუტური და შემდგომში როგორც პირობებით (მაგალითად, დასაბუთება), ისე კონტროლის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების შესაძლებლობით. მაგალითად, საჯარო სკოლას მის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების განკარგვისთვის ესაჭიროება სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელის სუბიექტის, ანუ სამინისტროს თანხმობა.

ამ თანხმობის მისაღებად, სკოლა სამინისტროს წარუდგენს სხვადასხვა დოკუმენტაციას და ინფორმაციას. მიუხედავად ამისა, სამინისტრო უფლებამოსილია, უარი თქვას კონკრეტული მიზნით უძრავი ქონების განკარგვაზე და სკოლა ვერ მოახდენს ქონების განკარგვას. ამ შემთხვევაში, კანონმდებელი ადგენს, რომ სამინისტროს უარი ამქმედებების განხორციელებაზე უნდა იყოს დასაბუთებული. ამდენად, დასაბუთების ვალდებულება არის საპირწონე მექანიზმი. იმ შემთხვევაში, თუ სკოლა ჩათვლის, რომ მიღებული უარი არ არის საკმარისად დასაბუთებული, ის უფლებამოსილია, გადაწყვეტილება გაასაჩივროს ზემდგომ სახელმწიფო ორგანოში (არსებობის შემთხვევაში) ან/და სასამართლოში. ასევე, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, სამინისტრო უზრუნველყოფს დირექტორის კონკურსის ჩატარებას და ამტკიცებს შესაბამის პროცედურებს. აღნიშნული მექანიზმები, ერთი მხრივ, წარმოადგენს კონტროლის მექანიზმს, მაგრამ, მეორე მხრივ, მიღებული გადაწყვეტილებები შესაძლოა შეიცვალოს სასამართლოს მეშვეობით.

ამდენად, საჯარო სკოლის გარე კონტროლის მექანიზმებსა და სკოლის ავტონომიას შორის ბალანსის დაცვის საშუალებას წარმოადგენს მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთების ვალდებულება, ზემდგომი სახელმწიფო ორგანოს ჩართვა სადავო შემთხვევაში ან სასამართლო ინსტიტუტის გამოყენება. როგორც პრაქტიკა აჩვენებს, საჯარო სკოლებს გამოუყენებიათ არსებული მებაღანსებელი მექანიზმები და მიუღიათ სასურველი შედეგი, რაც ადასტურებს, რომ ავტონომიურობის დაცვისთვის გაწერილი მექანიზმები არ არის ფორმალური და გამოიყენება ურთიერთობის მხარეებს შორის.

LIVING-DEMOCRACY.COM –

მულტილინგვური ვებგვერდი

სკოლებში დემოკრატიული კულტურის ხელშესაწყობად

განსაკუთრებული მნიშვნელობის, დირექტორის გიგლიოთეკისა და გეგმავლობისთვის



ნათია ნახვლიშვილი

საზოგადოების დემოკრატიულ განვითარებას ცალსახად განაპირობებს ის, თუ რამდენად დემოკრატიულ გარემოში იზრდება და ყალიბდება ბავშვი. შესაბამისად, სკოლის დემოკრატიულ განვითარებაში ინვესტირება საზოგადოების დემოკრატიულ განვითარებაზე ზრუნვას ნიშნავს. სკოლის დემოკრატიული განვითარების პროცესში კი გადამწყვეტი როლი სკოლის დირექტორს ეკისრება.

ჩვენ ხშირად გვესმის ერთგვარი ჩივილი განათლების სპეციალისტების მხრიდან ამ დაპროექსებული განვითარების სხვა მიმართულებებით არსებული ქართულ ენოვანი რესურსების სიმწირის შესახებ, თუმცა, თუ გულდასმით მოვიძიებთ მასალებს, აღმოვაჩენთ, რომ საქმე არც ისე საწუწუნოდ გვაქვს.

გვინდა, გაგაცნოთ მულტილინგვური ვებგვერდი, რომლის გაქართულებაზე მუშაობაც უკვე დასრულდა—living-democracy.com. ვებგვერდი ციურიხის მასწავლებელთა განათლების უნივერსიტეტისა და ევროპის საბჭოს ერთობლივ პროდუქტს წარმოადგენს და, სკოლებში დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობის მიზნით, მასწავლებლების, დირექტორებისა და მშობ-

ლების დახმარებას ისახავს მიზნად. ვებგვერდზე, ქართულის გარდა, კიდევ 14 ენაზე იხილავთ მასალას და აღსანიშნავია, რომ ენობრივი მენიუ კიდევ და კიდევ გამრავალდებოდა. ამჯერად ჩვენ სკოლის დირექტორებისთვის განკუთვნილ ნაწილზე გავამახვილებთ ყურადღებას.

სკოლის დირექტორს, დღევანდელ სკოლაში, როგორც პრაქტიკული, ასევე, სტრატეგიული მიმართულებით მუშაობის პროცესში, ძალიან ბევრი ფაქტორის გათვალისწინება უწევს (კანონი, სასწავლო გეგმა, ადგილობრივი ხელმძღვანელობა, მშობლები, მოსწავლეები, ფინანსური რესურსები, სოციალურ-ეკონომიკური გარემო, კონკურენცია და ა.შ.). სკოლის ხელმძღვანელების მხრიდან მათ გათვალისწინებაზე სათანადოდ ზრუნვა სკოლებში დემოკრატიული კულტურის უმნიშვნელოვანეს წინაპირობას წარმოადგენს.

სკოლის დემოკრატიულ მართვასთან დაკავშირებული საკითხები ვებგვერდზე თავმოყრილია 8 მიმართულებით. თითოეული მიმართულებით ვებგვერდი სკოლის დირექტორებს სთავაზობს როგორც თეორიულ, ასევე, პრაქტიკულ რეკომენდაციებს.

სკოლის დემოკრატიულ



განვითარებაში

ინვესტირება

საზოგადოების

დემოკრატიულ

განვითარებაზე ზრუნვას

ნიშნავს. სკოლის

დემოკრატიული

განვითარების

პროცესში კი

გადაწყვეტილი როლი

სკოლის დირექტორის

ეპისკოპოსს.



კვება – ამ ნაწილში მოცემულია რეკომენდაციები კვებასთან, ჯანსაღი ცხოვრების წესთან, ფიზიკურ განვითარებასთან დაკავშირებით. შემოთავაზებულია ისეთი აქტივობები, რომელებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა კვებითი წიგნიერების განვითარებას, სწორ კვებასთან დაკავშირებული დამოკიდებულებებისა და უნარ-ჩვევების განვითარებას. შინაარსი მოიცავს როგორც ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებულ, ასევე, მზადებისა და ინტერვენციის განხორციელების სტრატეგიებს.



აქტიური სკოლა – ბოლოდროინდელი კვლევები ადასტურებს, რომ თუ ბავშვები და ახალგაზრდები რეგულარულად არიან დაკავებული მათი განვითარების შესაბამისი ფიზიკური აქტივობებით, ეს დადებითად აისახება როგორც მათ სოციალურ ურთიერთობებზე, ასევე, აკადემიურ მოსწრებაზე. ეს ნაწილი, უახლეს საერთაშორისო სტანდარტებსა და რეკომენდაციებზე დაყრდნობით, გვთავაზობს რჩევებს, თუ როგორ შეიძლება შევქმნათ სკოლაში ფიზიკური, ჯანსაღი განვითარებისთვის სასარგებლო აქტიური გარემო.



პოვნისპასი – ეფექტური კომუნიკაცია სწავლის პროცესს ამარტივებს, ეხმარება მოსწავლეებს დასახული მიზნების მიღწევაში და მათი სწავლის შესაძლებლობების ზრდას უწყობს ხელს. ეფექტური კომუნიკაცია აძლიერებს კავშირს მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის და, საზოგადოდ, დადებითი გამოცდილების მიღების საწინდარს წარმოადგენს. სწორედ ამგვარი გარემოს შექმნაში დაგეხმარებათ ამ თავში მოცემული რეკომენდაციები.



მონაწილეობა – ამ ნაწილის მიზანს წარმოადგენს რჩევე-ბისა და რეკომენდაციების მიწოდება სკოლის ხელმძღ-ვანელებისათვის, მათ სკოლაში მიმდინარე დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მოსწავლეების, მათი მშობლების, მასწავლებლებისა და საზოგადოების წევრების ჩართვასთან დაკავშირებით; რჩევების გარდა, რესურსი მოიცავს დემოკრატიული ხელმძღვანელობის საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებს.



სადავო საკითხები – მოსწავლეებს ყოველდღიურად აქვთ შეხება ისეთ საკითხებთან, როგორიცაა, მიგრაცია, კლიმატის ცვლილება, ტერორიზმი, უმცირესობების უფლებები... ამგვარ საკითხებზე მოსწავლეებთან

საუბარი ერთგვარ გამოწვევას წარმოადგენს, თუმცა, როგორ უნდა გაერკვნენ ახალგაზრდები ამ საკითხებში, თუ ჩვენ არ მივცემთ საშუალებას, სკოლაში იმსჯელონ მათზე? სადავო საკითხებზე მსჯელობას ბევრი დადებითი შედეგი მოაქვს. ამისათვის, სხვა რესურსებთან ერთად, თქვენ გჭირდებათ სათანადოდ მომზადებული პედაგოგები, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა და გარემო, რომელიც მსგავსი პროცესის წარმართვას უწყობს ხელს.



ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული სკოლა – თქვენ, როგორც სკოლის ხელმძღვანელს, გჭირდებათ, შეაფასოთ თქვენი სკოლა ადამიანის უფლებების ტრილში: საკმარისად უწყობს თუ არა ხელს ძირითადი ღირებულებების სისტემა

თქვენი სკოლის ინკლუზიურ სწავლებასა და თითოეული მოსწავლის პიროვნულ განვითარებას; მასწავლებლები, სკოლის პერსონალი, მშობლები და თავად თქვენც აქტიურად ხართ თუ არა ჩართულნი ამ ძალისხმევაში? ამ საკითხებთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს ეხება მოცემული ნაწილი.



სწავლა – თუ თქვენ, როგორც სკოლის ხელმძღვანელს, გსურთ, თქვენი სკოლა უფრო დემოკრატიული გახდეს, მნიშვნელოვანია, ყურადღება გაამხვილოთ იმ პროცესზე, რომელიც საკლასო ოთახებში მიმდინა-

რობს, მოსწავლეებისა და მასწავლებლების მონაწილეობით. ეს არ გულისხმობს მასწავლებლის საქმიანობაში არასათანადო ჩართვას, არამედ მოიაზრებს თქვენი, როგორც საგანმანათლებლო ლიდერის გადამწყვეტ როლს მოსწავლის განვითარებაში. მოცემული ნაწილი სწორედ საგანმანათლებლო ლიდერობას ეხება.



ლიდერობა – დემოკრატიული ლიდერობა, როგორც საერთო სასკოლო მიდგომა, თქვენს გაზრდილ როლსა და პასუხისმგებლობას მოითხოვს. დემოკრატიული ლიდერობა ყველა დაინტერესებულ მხარეს აძლევს შესაძ-

ლებლობას, გაუზიარონ სხვებს გამოცდილება და აიღონ საკუთარი წილი პასუხისმგებლობა. წინამდებარე ნაწილში განხილულია სკოლის დემოკრატიულ ლიდერობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც სკოლის დემოკრატიული კულტურისა და საერთო სასკოლო მიდგომის ნაწილს წარმოადგენს. წინამდებარე ინსტრუმენტი დაგეხმარებათ შეაფასოთ თქვენი, როგორც სკოლის ხელმძღვანელის როლი, განსაზღვროთ და დასახოთ თქვენი სკოლის საჭიროებებზე მორგებული მიზნები.



დაგვიკავშირდით

მოგვწერეთ, რა გაინტერესებთ

გაგვიზიარეთ თქვენი გამოცდილება,
იდეები, ინიციატივები

ჩვენ შევეცდებით, არცერთი შეკითხვა
არ დავტოვოთ უპასუხოდ

SKOLISMARTVA@TPDC.GE



» www.living-democracy.com/ge/